პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. ს. ს.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მტრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია:
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26
ტელეფ. 5—43

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 15 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 145 ოთხშაბათი 27 ივნისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 75,000 მან. № 145

დღიური

— უკანასკნელ კვირის განმავლობაში გერმანიის მარკის კურსი საშინლად დაეცა.

— რურის ოლქში საოკუპაციო ჯარმა გაუსამართლებლად დახვრიტა რამოდენიმე მშვიდობიანი მცხოვრები. საფრანგეთი განაგრძობს რეპრესიულ ზომების მიღებას და ახალი მაღაროების ხელში ჩაგდებას.

ეტნას ამოხეთქამ საგრძნობლად იკლო. სამეცნიერო ექსპედიციის აზრით, შესაძლებელია ამოხეთქა ამ კვირაში შეწყდეს.

— ავსტრიის მთავრობა ლამობს გააუქმოს რვა საათის სამუშაო დღე. სოციალ-დემოკრატების პროფკავშირები მთავრობას უთმობენ.

საქართ. პარტიულ-საბჭოთა პრესის

ცენტრალურ კანტორისაგან

(ყოფ. გაზტრესტი), რუსთაველის პრ. № 26, ტელეფ. № 5—43.

ცენტრალური კანტორა ამით აცნობებს ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს და კერძო პირებს, რომ 1 ივლისიდან გაზეთ „კომუნისტ“-ში განცხადებები მიიღება შემდეგი ფასით:

ნონპარელის სტრიქონი	— —	12 კ. ჩერვონცებით
თეატრალური განცხ. არა უმეტ. 60 სტრ.		30 პრ. დაკლებით
სამგლოვიარო არა უმეტეს 30 სტრ.	—	4 მ. ჩერვონცებით
საქმიო განცხადება თვეში	— —	4 მანეთი

ყველა განცხადებები არა ნაკლებ 10-ჯერ დაბეჭდილი—10 პრ. დაკლებით. აგრეთვე მიიღება განცხადებები თვიურ ჟურნალში „რევოლიუციის მატიანე“-ში, „კომუნიზმის დროშა“-ში და ორკვირეულ იუმორისტულ ჟურნალ „ნიანგ“-ში.

6—1

ცენტრალური კანტორა.

---

28 ივნისს, დილის 10 საათზე, სასახლის წითელ დარბაზში გაიხსნება

მეორე სესია

ამიერ-კავკასიის საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა

დასწრება ყველა წევრებისა და კანდიდატებისა აუცილებელია.

დღის წესრიგი: 1. მოხსენება ამიერ კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოსი, 2. ფინანსიური მდგომარეობა ამიერ-კავკასიის ფედერაციისა, 3. კონსტიტუციები (ხელშეკრულებანი და დეკლარაციები) სოც. საბჭ. რესპუბლიკებისა, 4. მოხსენება ამიერ-კავკასიის სოც. საბ. ფედ. რესპუბლიკების სასურსათო სახალხო კომისარიატის, შრომის სახალხო კომისარიატის და მუშურ-გლეხურ ინსპექციის სახალხო კომისარიატისა, 5. ნაციონალური მომენტი ამიერ-კავკასიის ფედერაციის სახელმწიფო აღმშენებლობაში. 6. მიმდინარე საქმეები.

ამიერ-კავკასიის აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი **თალიბლი.**

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა, რომ პარასკევს, 29 ივნისს

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგში დასმული იქნეს საკითხი კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმის შესახებ.

მასალებათ გამოყენებული იქნეს ამხ. ზინოვიევის სიტყვა, რომელიც დაბეჭდილი იყო „პრავდა“-ს 14 და 15 ივნისის ნომრებში.

ტფილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ: რუბინი.

„კომუნისტი“-ს რედაქცია

გადავიდა

ახალ ბინაზე: რუსთაველის პროსპექტი, 24, მეორე სართული

(მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყოფილი ბინა).

საგადასახადო პოლიტიკა და პერსპექტივები ამიერ-კავკასიაში

I

ძირითად მომენტებათ ჩვენის საგადასახადო პოლიტიკის გამორკვევის დროს უნდა ჩაითვალოს გადასახადების გაერთიანება ამიერ-კავკასიის ყველა სამს რესპუბლიკაში, მტკიცე განსაზღვრა ფედერატიული, რესპუბლიკანურის და ადგილობრივ ხასიათის გადასახადებისა, შემოსავლისა და ხარჯებისა და ბოლოს დაბეგვრის ერთის სისტემისა და წესის განხორციელება მთელ ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე.

ამ მუშაობის დროს ჩვენი საგადასახადო აპარატი ხელმძღვანელობს საბჭოთა რუსეთში მიღებულ საერთო პრინციპებით, რომელსაც ის ამუშავებს ამიერ-კავკასიის პირობების შესაფერისად.

ამიერ-კავკასიის სამივე რესპუბლიკის ფინანსიურ-ეკონომიურად გაერთიანების შემდეგ ერთს უმნიშვნელოვანეს საკანონმდებლო აქტად ამიერ-კავკასიის ფედერაციის საგადასახადო სისტემის გაუმჯობესებისათვის აღიარებულ უნდა იქმნას ამა წლის აპრილის 2-ის დეკრეტი ამ.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შემოსავლისა და ხარჯის შესახებ, დეკრეტი, რომელიც შეეხება საერთო სახელმწიფოებრივი (რესპუბლიკანურ მასშტაბით) და ადგილობრივ ბიუჯეტებს.

ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს საფინანსო ცხოვრებაში ადგილობრივი ფინანსების საკითხის სწორედ დაყენებას და გადაჭრას.

ამ სწორ გადაჭრასა და პრაქტიკულად განხორციელებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საკითხები საბიუჯეტო წონასწორობის დამყარების, ფულის ტრიალის გაჯანსაღების და საერთოდ ქვეყნის მთელი სამეურნეო ცხოვრების აღდგენისა.

ადგილობრივ ფინანსების წარმატებით მოწესრიგება შესაძლებლობას იძლევა გამოვიყენოთ მთელი რიგი ახალ შემოსავლის წყაროებისა, რომლებიც ნაკლებ ხელმისაწვდომი არიან ცენტრალურ ფინორგანოსთვის. ეს ორგანო უზრუნველყოფს ფულად საშუალებათა უფრო ეკონომიით და სამეურნეო წესით დახარჯვას და ამ რიგად ამცირებს იმ ხარჯების ჯამს, რომლებიც გასტუმრებული უნდა იქმნენ ადგილობრივი საშუალებებით.

უმორჩილებს რა ადგილობრივ ორგანოთა საფინანსო მუშაობას ერთს გარკვეულ სისტემას, იგი ერთის მხრით მოსახლეობას თავიდან აშორებს უკანონოთ შემოღებულ გადასახადებს და ხარჯებს, ხოლო მეორე მხრივ ცენტრალურს ხელისუფლებას უადვილებს მოსახლეთა შორის საგადასახადო დისციპლინის განმტკიცებას. ამიერ-კავკასიის სინამდვილის პირობები, ის ანარქია, რომელსაც ადგილი ჰქონდა გადასახადის აკრების საქმეში და რომელიც არსებობდა უკანასკნელ დრომდე, საჭიროთ ხდის საფინანსო მუშაობის გარკვეული წესისა და სისტემის შემოღების აუცილებლობას.

ამიტომ სრულიად გადაჭრით უნდა ვაღიაროთ, რომ ზემოხსენებული დეკრეტი უკანასკნელს დროის საფინანსო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა რიცხვს ეკუთვნის.

იმ ხარჯების გაწევა ადგილობრივ, რომლებიც წინათ იფარებოდენ სახელმწიფოებრივი საშუალებებით, მიკუთვნებული აქვს, აპრილის 2-ის დეკრეტის თანახმათ, ადგილობრივ აღმასკომებს. მათვე განკარგულებაშია დატოვებული ამიტომ მთელი რიგი შემოსავლის წყაროებისა. ამას გარდა მათ ეძლევათ საშუალება გამოიჩინონ ინიციატივა ახალი, დეკრეტით გაუთვალისწინებელ, წყაროების გამოსაძებნათ.

ამ დეკრეტის გამოცემის შემდეგ თანდათან უნდა მოისპოს ადგილებზე დღემდე არსებული საგადასახადო ანარქია, უნდა გაუქმდეს ყველა ის გადასახადები, რომელთა მოკრება საბჭოთა ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკის საერთო პრინციპებს არ შეესაბამება და რომლებიც ამის გამო წარმოადგენენ არსებითად გადასახადს კი არა, არამედ ხარკს, დადებულს მოსახლეობაზე.

რასაკვირველია ყველა ამ არა სასურველ მოვლენებს სწრაფად ვერ აღმოვფხვრით. ისინი კიდევ დარჩებიან რამდენიმე ხანს. სახელმწიფოს საფინანსო სისტემის აშენების პირველ ხანებში იქნება სხვა საგადასახადო დეფექტები, მაგრამ ამ მოვლენებს უნდა ვებრძოლოთ და ვებრძოლოთ სასტიკად, ვინაიდან უამისოდ შეიძლება დიდხანს გაჭიანურდეს პროცესი ფინანსების გაჯანსაღებისა, საგადასახადო დისციპლინის დამყარებისა და ამ დარგში არსებულ ადგილობრივ მახინჯ მოვლენათა მოსპობისა. ამ შემთხვევაში რაიმე სირბილეს ადგილი არ უნდა ჰქონდეს ცენტრის მხრივ. და ჩვენ კიდევაც უნდა ავღნიშნოთ სიამოვნებით, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ამიერ-კავკასიაში საფინანსო ფრონტზე ბრძოლის საქმეში თავიდანვე აიღო მტკიცე კურსი. ამ მხრით ბევრი რამ არის უკვე გაკეთებული.

მაგალითად გაუქმებულ იქნა საგანგებო განკარგულებით აფხაზეთში უკანონოდ დაწესებული საფუთო გადასახადი; შეწყვეტილ იქნა ბათომის აღმასკომის მიერ საფუთო გადასახადის აკრება სატრანზიტო ტვირთზე, „აზნავთის“ პროდუქტებზე, რომელნიც საზღვარ გარეთ იგზავნებიან; გაუქმებულ იქნა აგრეთვე ხიდის გადასახადი ნახიჩევანის რესპუბლიკაში და სხვა...

მომავალში კიდევ მეტია გასაკეთებელი და ეს მუშაობა საფინანსო წესიერების დასამყარებლათ ადგილებში ბევრ ძალას და ენერგიას მოითხოვს.

ადგილობრივი საშუალებანი ჩვენში უწესრიგოდ იხარჯება, აღმასკომის თვითეული განყოფილება თავის ხარჯებს აწარმოებს საერთო აღრიცხვისა და გეგმის გარეშე. არ არის ერთსახეობა ხარჯთაღრიცხვათა შესრულების საქმეში, ხარჯები გამოწვეული არ არის ნამდვილი საჭიროებით. საჭირო თანდათანობაც ხარჯების დაფარვის საქმეში დაცული არ არის. არ არსებობს სამეურნეო გეგმა, არ არის საერთო სახელმძღვანელო ხაზი, მძლავრი პოტენციალური შესაძლებლობანი ვერ ხორციელდებიან. შემოსავალი ხარჯს ვერ ჰფარავს. ბიუჯეტების ზარალიანობა—ნაყოფი სამეურნეო მომჭირნეობის უქონლობისა—საერთო მოვლენას წარმოადგენს ყველგან როგორც ღარიბ, ისე ეკონომიურად მძლავრს რაიონებში. ადგილობრივ ბიუჯეტებს ადგენენ ფორმალურ მოთხოვნილებათა დაუცავად, ბიუჯეტების შედგენის დროს არ არის აგრეთვე დაცული არსებითი მოთხოვნილებანი. სახარჯთაღრიცხვო ანგარიშები დაუსაბუთებელია. შემოსავალი არ არის შეფარდებული ხარჯებთან. უწყებათა ინტერესები პირველ ადგილზეა წამოყენებული და სხვ. ხშირად ბიუჯეტებს სრულიად არ ადგენენ, ან ადგენენ მეტად დაგვიანებით.

რაც შეეხება საფინანსო აპარატების ორგანიზაციას ადგილობრივ, სამწუხაროდ უნდა ავღნიშნოთ, რომ იგი სავსებით არ არის დამაკმაყოფილებელი და ამ აპარატების თანამშრომელთა პირად შემადგენლობის გაჯანსაღების ამოცანა, ურომლისოდაც შეუძლებელია ადგილობრივი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე აყვანა, ცენტრალურ საფინანსო ხელისუფლებისთვის ფრიად სერიოზულ მნიშვნელობას ღებულობს.

დაბოლოს უნდა აღინიშნოს, როგორც ერთი უდიდესი დეფექტი ადგილობრივ ორგანოთა საფინანსო პრაქტიკაში, ის ფაქტი, რომ ეს ორგანოები მოხერხებულად და საკმარისად ვერ სარგებლობენ არა გადასახადის სახის შემოსავლის წყაროებით.

აპრილის 2-ს დეკრეტით ადგილებს გადაცემული აქვთ შემოსავალი: კომუნალურ ღონისძიებებიდან, სამრეწველო, სავაჭრო, საკომისიო, სატრანსპორტო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა წარმოებათა ექსპლოატაციიდან, ან სხვადასხვა იჯარიდან. ამ ზომის მნიშვნელობა დღემდე საკმარისად არ არის გათვალისწინებული. მიწების ნაციონალიზაციამ, სახლების მუნიციპალიზაციამ და საბჭოთა ხელისუფლების სხვა ღონისძიებებმა ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოების განკარგულებაში გადასცეს დიდი ქონებრივი ფონდი და მრავალი შემოსავლის წყაროები. ამ წყაროებით ადვილად და უკეთესად სარგებლობა, რასაკვირველია, ადგილობრივ უფროა შესაძლებელი. საბჭოთა რესპუბლიკების ადგილობრივ ფინანსებს ეს გარემოება ბრწყინვალე პერსპექტივებს უშლის, განსაკუთრებით ამიერ-კავკასიაში; ასეთი პერსპექტივები არ არის და არც იქნება არც ერთს კაპიტალისტურს ქვეყანაში, თუნდაც იქ, მაგ. როგორც ინგლისში, უაღრესად იყოს განვითარებული ადგილობრივი თვითმართველობის სისტემა.

სასწრაფო და ენერგიულ ღონისძიებათა მიღება შემოსავლის ამ წყაროების გამოსაყენებლად უდიდეს და გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ჩვენი ადგილობრივ მუშაკებისთვის.

მაგრამ აქ ძველის სიძლიერით სდგება ჩვენს წინ საკითხი ამ მუშაკთა კადრის შესახებ. განა შეიძლება, რომ საბჭოთა-სამეურნეო ამოცანათა გადაჭრის დროს თამამ ინიციატივას, ენერგიას და საქმისადმი ერთგულებას მოველოდეთ ძველი მოხელეებისაგან, მათი ბიუროკრატიული ჩვეულებებით და ბურჟუაზიულ იდეოლოგიით?

წითელი მუშაკნი ფინანსიურ დარგში ადგილობრივ უფრო საჭირონი არიან, ვინემ ცენტრში. ამიტომ ისინი უნდა [illegible] ველში.

ა. ერქომაიშვილი.

საერთაშორისო კოოპერატიულ დღისათვის

კოოპერატორების საერთაშორისო ყრილობამ ბაზელში, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასული წლის აგვისტოში, დაადგინა იდღესასწაულოს 7 ივლისი. საერთაშორისო კოოპერატიულ დღის შინაარსია—საერთო აგიტაცია და კოოპერატიულ ორგანიზაციაში ყველა ქვეყნის ფართე მასების ჩაბმა. ეს კი ფრიად საჭიროა.

მსოფლიო ომის დროს და აგრეთვე მის შემდეგ მძვინვარე სამრეწველო კრიზისის გამო, კოოპერაცია როგორც სახალხო მეურნეობასთან ძლიერ დაკავშირებული ორგანიზაცია, დაეცა. ამიტომ მისი აღდგენა, გამოცოცხლება და სათანადო დონეზე დაყენება მორიგ საკითხად წამოაყენა ცხოვრებამ. ბაზელის ყრილობაზე ამ მომენტმა თვალსაჩინო ადგილი დაიკავა. ეს საქმე მოითხოვდა დიდ პროპაგანდას, აგიტაციას, რომლის ერთდროულად ჩატარებისთვის არჩეულ იქნა 7 ივლისი.

ამ დღის პროპაგანდის განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კომინტერნის კოოპერატიულმა სექციამ, რომელმაც ცირკულიარული წერილით მიმართა დასავლეთ ევროპის კომუნისტურ პარტიებს, რათა მათ ფართედ ჩაატარონ ეს კამპანია. სექცია აფრთხილებს დასავლეთის ამხანაგებს, რომ კოოპერაცია უნდა გახდეს პროლეტარიატის ხელში კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველ იარაღად და მაშასადამე საჭიროა ის გაიჟღენთოს კომუნისტური იდეით, რომ მან შეაკავშიროს თავის ორგანიზაციებში მშრომელთა ფართო მასები.

ამ დღეს ჩვენთვისაც აქვს დიდი მნიშვნელობა. საჭირო და აუცილებელია კოოპერატივებში ჩავაბათ მუშებისა და გლეხობის ფართე მასები. დღეს კი ეს მასები ჯერ კიდევ კოოპერაციის გარეშე არიან დარჩენილი. ეს გარემოება კი ძლიერ ასუსტებს კოოპერაციას. მაშასადამე ჩვენც გვესაჭიროება ფართე კამპანია ამ მხრივ და ისიც მთელი ენერგიით უნდა ვაწარმოოთ.

ჩვენში რაკი მთელი ძალაუფლება მუშათა კლასს ეკუთვნის, რა კი ამ ძალაუფლების ხელშია წარმოების უმთავრესი საშუალებანი—ჩვენ ერთ-ერთ დიდ მიზანს უნდა შეადგენდეს მცხოვრებთა შემოკრება კოოპერაციის გარშემო. სწორედ ამ გარემოებას მიაქცევდა ყურადღებას ამას წინედ გამოქვეყნებულ წერილებში კოოპერაციის შესახებ ამხ. ლენინი. ამნაირად 7 ივლისი გამოყენებული უნდა იქნას განსაკუთრებით ჩვენ სოფლებში კოოპერაციის იდეის გასავრცელებლათ და მის ორგანიზაციულად გამაგრებისთვის.

რამოდენიმე ქალაქებში, ამას გარდა საჭიროა მუშათა კოოპერატივების წევრთა ექსკურსიები, კონცერტები, პოპულიარული ლექციები კოოპერაციის შესახებ და სხვა. რასაკვირველია, ყველაზე უკეთესი პროპაგანდა იქნება ამ დღისათვის ახალი განყოფილებათა გახსნა.

7 ივლისიც ახლოვდება და ჩვენმა კოოპერატიულმა უმაღლესმა ორგანოებმა უნდა დასვან საკითხი: მზათ არიან თუ არა ისინი ამ დღის სათანადოთ შეხვედრისათვის და ჩასატარებლად? თუ არ არიან—ეხლავე უნდა შეუდგენ სამზადისს.

ცხადია, რომ კამპანია მხოლოდ მაშინ მოიტანს სასურველ შედეგებს, თუ კოოპერატიულ ორგანიზაციებს სათანადო დახმარებას გაუწევენ პარტიული, პროფესიონალური და საბჭოთა ორგანიზაციები.

და—ძე.

პრესა კონფლიქტის ლიკვიდაციის შესახებ

ლონდონი. 20 ივნისი. „მანჩესტერ გარდიენ“-ი კომენტარიებს უკეთებს რუსეთ-ინგლისის კონფლიქტის ლიკვიდაციას და სწერს: „კერზონის ნოტას თავისი მკვახე და დაუშვებელი ტონით შეიძლება გამოეწვია ისეთი შედეგები, რომელიც ეწინააღმდეგება ამ ჟამად მიღწეულ შედეგებს. ამოცანად რჩება—კერზონს განხეთქილება უნდოდა თუ მისი თავიდან აშორება სურდა. რასაკვირველია, რუსეთში ყველა დარწმუნებული იყო, რომ კერზონი განხეთქილების ჩამოგდებისაკენ მიისწრაფოდა. გაზეთის აზრით, კერზონმა დამარცხება განიცადა, თუმცა, შექმნილი მდგომარეობის გამო, მან ეს დამარცხება შეიძლება გამარჯვებად ჩასთვალოს. ეჭვს გარეშეა, რომ რუსეთ-ინგლისის დამოკიდებულებები საკმაოდ მძიმე გამოცდების ქვეშ იდგენ, მაგრამ ის ფაქტი, რომ ეს გამოცდები თავიდან აშორებულია, იმის საბუთს იძლევა, რომ რუსეთ-ინგლისის დამოკიდებულება მტკიცე საფუძველზე იქნება დაყენებული. საბჭოთა მთავრობის ახალი ნოტის ანალიზის შემდეგ, გაზეთი თავის წერილს ასეთი სიტყვებით ათავებს: „ინგლისის მთავრობის მიერ მიღებული ვალდებულება საბჭოთა მთავრობის მოწინააღმდეგე რუსეთის ემიგრანტებისათვის დახმარებაზე უარის თქმის შესახებ ნიშნავს მტრულ განზრახვების შეწყვეტას რუსეთში არსებულ მთავრობის წინააღმდეგ. მაშასადამე ინგლისისათვის ამიერიდან აღარ არის საფუძველი საბჭოთა მთავრობის არ ცნობისათვის“.

რადიო-დეპეშები

რურის საკითხი

ფრანგების რეპრესიები.

ბერლინი. 24 ივნისი. რურში რკინის გზების აფეთქების გამო, რეპრესიების სახით, ფრანგები ახდენენ მასიურ დაპატიმრებებს კომუნალურ მოხელეებს შორის.

ანტანტის პოზიცია.

პარიზი. 24 ივნისი. **ლონდონს, ბრიუსელს და პარიზს შორის გრძელდება მოლაპარაკება გერმანიის უკანასკნელი ნოტის პასუხის შესახებ.** მიუხედავად ზოგიერთი გაზეთების მტკიცებისა, რომ მიღწეულია შეთანხმება პარიზსა და ბრიუსელს შორის, მათ შორის უთანხმოება არ არის მოსპობილი. გადმოგვცემენ, რომ ბელგიის მთავრობა გადასცემს ლონდონს თავის სეპარატიულ პასუხს ბალდვინის ნოტაზე იმ მიზეზით რომ ინგლისის ნოტაში არის პუნქტი, რომელიც შეეხება მხოლოდ ბელგიას.

გადმოგვცემენ, რომ პუანკარემ პირადათ გაუკეთა რედაქცია იმ პასუხს, რომელიც გადაეცემა ლონდონს ბელგიის მთავრობის თვალსაზრისის გამორკვევის შემდეგ.

გაზეთები, რომლებიც გამოხატავენ საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს თვალსაზრისს, აღნიშნავენ, რომ რურის ოკუპაციის ხასიათი შეიცვლება პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტის შემდეგ.

გერმანიის ნოტა.

მოსკოვი. 25 ივნისი. გერმანიის საელჩომ მოსკოვში გადასცა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარს ნოტა რურის ამბების გამო. ამ ნოტაში გერმანიის მთავრობა აქცევს ყურადღებას იმ **ძალადობას, რომელსაც სჩადიან საფრანგეთის და ბელგიის საოკუპაციო ჯარები დაკავებულ ოლქების მცხოვრებლების მიმართ.** 26 მაისს, როგორც ნათქვამია ნოტაში, საფრანგეთის სამხედრო ტრიბუნალის განაჩენის მიხედვით დახვრიტეს კომერსანტი შლიაგეტერი, რომელსაც ბრალს სდებდენ საბოტაჟში, 10 ივნისს დორტმუნდში საფრანგეთის ორი სამხედრო პირის მოკვლის გამო **გაუსამართლებლად დახვრიტეს 6 გერმანელი.** 11 ივნისს საფრანგეთის ჯარისკაცებმა დახვრიტეს რეკლინგაუზენში 19 წლის კარლ მელლერი, 13 ივნისს სამხედრო ტრიბუნალმა სიკვდილით დასჯა მიუსაჯა ინსტრუქტორ-აგრონომს მერგესს. ყოველივე ეს ხდება მაშინ, როდესაც საფრანგეთის მთავრობა მოითხოვს პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტას. ფრანგების მოქმედება უნაყოფოდ სტოვებს გერმანიის მთავრობის ზომებს რურის მცხოვრებთა დასამშვიდებლად. გერმანიის მთავრობა მრავალჯერ მოითხოვდა ამ საქმის გადაცემას საერთაშორისო კომისიისათვის, მაგრამ საფრანგეთის მთავრობა ამას უყურადღებოდ სტოვებდა.

გერმანიის მთავრობა, აცხადებს რა პროტესტს საფრანგეთის ძალადობის პოლიტიკის წინააღმდეგ, აღნიშნავს, რომ **პასუხისმგებლობა შედეგებისათვის ეკუთვნის მხოლოდ საფრანგეთის მთავრობას.**

კუნოს სიტყვა

ბერლინი. 26 ივნისი. კენიგსბერგში მიწათ-მოქმედების ბაზრობის გახსნის დროს კანცლერმა კუნომ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა, რომ აუცილებელია ეკონომიური ურთიერთობის დამყარება გერმანიასა და აღმოსავლეთის სახელმწიფოებს შორის. რადგან გერმანიას არ აქვს საშუალება მოლაპარაკება აწარმოვოს საფრანგეთთან თანასწორი უფლებით, გერმანიისათვის აუცილებელია დაარწმუნოს ქვეყანა, რომ მას გადაწყვეტილი აქვს ყოველი ძალ-ღონე იხმაროს საკონტრიბუციო ვალდებულებათა შესასრულებლად იმდენად, რამდენადაც ეს მისთვის შესაძლებელი იქნება. დასკვნაში კუნომ განაცხადა, რომ ვერც ერთი მთავრობა ვერ შესძლებს უბრძანოს მცხოვრებთ შესწყვიტონ პასიური წინააღმდეგობა.

რურის ოლქის ოკუპაცია

საოკუპაციო პოლიტიკის შედეგები.

პარიზი. 26 ივნისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, მრეწველობის მდგომარეობა რურში თანდათანობით უარესდება. უმუშევართა რიცხვი დღითი დღე მატულობს. მრავალ ქარხნებში დაითხოვეს მოსამსახურეების ნაწილი და მუშაობა [illegible] 3—4 დღეს. 25 ივნისიდან სამუშაო ხელფასი რურის მემაღაროებს გაუდიდდა 25,900 მარკით. დუისბურგის ტრანსპორტელებმა დაიწყეს მოლაპარაკება წარმოების მეპატრონეებთან სამუშაო ხელფასის 100 პროცენტით გადიდების შესახებ.

კომუნისტური პროპაგანდის კვირეული.

პარიზი. 26 ივნისი. რურის ოლქში კომუნისტების სექცია მართავს 25-დან 30 ივნისამდე პროპაგანდის კვირეულს.

ჩამორთმეულია ნახშირის მთელი მარაგი.

ბერლინი. 26 ივნისი. გენერალ დეგუტის ბრძანებით დაკავებულ ოლქებში ჩამორთმეულია ნახშირის მთელი მარაგი, რათა უზრუნველყოფილი იქნეს საკონტრიბუციო მიწოდება და გადასახადის აკრეფა ნახშირზე.

შვეიცარიის პროტესტი.

ბერლინი. 26 ივნისი. შვეიცარიის მთავრობამ მიმართა პარიზს პროტესტით დორტმუნდში საფრანგეთის ჯარისკაცების მიერ შვეიცარიის მოქალაქეების დახვრეტის გამო, რომელშიაც მოითხოვს, რომ დამნაშავეები მიცემულ იქნენ პასუხისგებაში და აუნაზღაურონ ზარალი დაღუპულთა ოჯახებს.

ლოზანას კონფერენცია

საფინანსო კომისიაში.

პარიზი. 26 ივნისი. ორშაბათს, საფრანგეთის წარმომადგენლის გენერალ პელლეს თავმჯდომარეობით გაიმართა საფინანსო კომისიის სხდომა იმ შეთანხმების დასაბოლავებლად, რომელიც მიღწეულია ისმეტ-ფაშას და მოკავშირეთა დელეგატების შორის მომხდარ თათბირზე მეორე ხარისხოვან საფინანსო საკითხებში. საბერძნეთის დელეგატმა გამოსთქვა იმედი, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოკავშირეები შეთანხმდენ სახელმწიფოებთან იმ დათმობათა გარშემო, რომელზედაც წავიდა ოსმალეთი ფინანსიურ საკითხებში...

გენერალმა პელემ უპასუხა, რომ ასეთ ეჭვებს არ შეიძლება ადგილი ექნესო. შემდეგ საფინანსო კომისიამ საბოლოვოდ შეიმუშავა ხელშეკრულების 57 მუხლი, რომელიც ეხება ოსმალეთისათვის ზარალის ანაზღაურების საკითხის მოწესრიგებას.

გერმანიის ამბები

გერმანული მარკის დაცემა და ხელფასი.

ბერლინი. 24 ივნისი. უკანასკნელ დღეებში ბერლინის მთელი ყურადღება მიპყრობილია მთავრობის და ბანკების წარმომადგენელთა შორის დაწყებულ მოლაპარაკებისაკენ იმ წინასწარ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც მიმართულია მარკის კურსის დაცემის წინააღმდეგ. **გარდა ამისა ყურადღებას იპყრობს აგრეთვე მთავრობის მოლაპარაკება პროფკავშირებთან ხელფასის საკითხის მოწესრიგების შესახებ. სოციალ დემოკრატების მოთხოვნილებანი ცენტრალურ ფასების დამწესებელ კომისიის შედგენის შესახებ დიდ წინააღმდეგობას ხვდება რეიხსბანკის მხრივ.**

მარკა ხელახლა დაეცა, რაც აიხსნება რეიხსბანკის მიერ ანგარიშის გამოქვეყნებით. ანგარიშში აღნიშნულია, რომ **ივნისის პირველი ორი კვირის განმავლობაში ქაღალდის ფულის ტრიალი გაიზარდა გერმანიაში 9 ტრილიონ 300 მილიარდ მარკიდან 10 ტრილიონ 900 მილიარდამდე.** მთავრობამ მოახერხა პროფკავშირებთან შეთანხმება ხელფასის საკითხში. განზრახულია ინდექსის სისტემის შემოღება, ამასთანავე ხელფასის ინდექსი შედგენილი იქნება ძირითად განაკვეთის მიხედვით და ყოველკვირეული მომატების ზედდართვით. პროფკავშირთა მოთხოვნილება ხელფასის დოლარის კურსით გამოანგარიშების შესახებ უარყოფილია.

თუმცა ბურჟუაზიული პრესა ფიქრობს, რომ მუშათა კლასი ცოტათ თუ ბევრად კმაყოფილია მიღწეულ შეთანხმებით, მაგრამ მიუხედავად ამისა **ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ცენტრალურ საბჭოს კრებაზე ოპოზიცია საგრძნობლად გაძლიერდა.**

ემილ ბარტი მოითხოვდა პროლეტარულ სარეპარაციო გეგმის შემუშავებას და ხაზს უსვამდა, რომ ერთად-ერთ სასიხარულო მომენტს წარმოადგენს რაპალოს ხელშეკრულების გაფართოება და მოუწოდებდა მუშებს ერთიანი ფრონტის განმტკიცებისაკენ.

სამუშაო ხელფასის საკითხის შესახებ კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს სამუშაო ხელფასის მინიმუმის დაწესებას 5 დოლარის რაოდენობით. ოპოზიცია მოითხოვდა სამუშაო ხელფასის ომამდე არსებულ რაოდენობამდე აყვანას, თუნდაც რომ ამის მისაღწევად საჭირო დარჩეს საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება.

მოსახლეობის უზრუნველყოფა პურით.

ბერლინი. 24 ივნისი. რეიხსტაგმა მიიღო კომპრომისული წინადადება ღარიბ მოსახლეობის პურით უზრუნველყოფის საკითხში. მთავრობა იძენს 1 მილ. ტონა ჭვავს, ხარჯებს ფარავს იძულებითი სესხით, რომელიც ვრცელდება მხოლოდ შეძლებულ კლასებს შორის. მთავრობის პირველი წინადადება შეიცავდა 3 ნახ. მილ ტონას შესყიდვას. აგრარიებმა აიძულეს მთავრობა უარი ეთქვა პურის იძულებითი „რაზვიორსტკაზე“. დამოუკიდებლები და კომუნისტები გამოვიდნენ აგრარიების წინააღმდეგ და აღნიშნავდენ, რომ მუშათა მასები განაგრძობენ ბრძოლას „რაზვიორსტკის“ გასატარებლად.

ეტნას ამოხეთქა

აქტივობის შესუსტება.

რომი. 26 მაისი. კატანიიდან მიღებული ცნობით, ამ უკანასკნელ დროს ეტნის აქტივობას დაეტყო შესუსტება.

ლინგუალოსა გადარჩა.

რომი. 25 ივნისი. კატანიიდან მიღებული ცნობებით, **ქალაქი ლინგუალოსა გადაურჩა განადგურებას.** ლაველფის ნაკადმა, რომელიც მიუახლოვდა ქალაქის ჩრდილო დასავლეთ ნაწილს, გვერდით აუარა ქალაქს. თუ ეტნას ამოხეთქის ძალა შესუსტდა ქალაქი გადარჩება. ლაველფი, რომელიც ყოველმხრივ გარს არტყია ქალაქს ცივდება, სიცხე, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში აუტანელი იყო, კლებულობს. **გუშინ მცხოვრებლებმა დაიწყეს თავის ბინებში დაბრუნება და ქალაქის გაწმენდა.** ქალაქში ჩამოდის მრავალი ტურისტი.

ეტნა მშვიდდება.

რომი. 26 ივნისი. სამეცნიერო ექსპედიცია, რომელიც ახდენდა კრატერების გამოკვლევას, იუწყება, რომ ლაველფი თუმცა ამოდის, მაგრამ არა ძველი რაოდენობით და ძალით. კრატერიდან ამოდის კვამლი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ **მთა მშვიდდება.** დაახლოვებითი ანგარიშით **ამოხეთქილი ლაველფის რაოდენობა უდრის რამდენიმე მილიონ კუბიკურ ფუტს.** ლაველფი ბევრ ადგილზე იმდენათ გაცივდა, რომ შეიძლება ხელის მიკარება.

რუსეთის ცნობის გარშემო

ნიუ-იორკი. 23 ივნისი. ვაშინგტონის გაზეთი „პოსტ“-ი სწერს: შეერთებულ შტატებში ამ ჟამად ისეთი განწყობილებაა, რომ **ეხლა უფრო შესაძლებელი იყო მის მიერ საბჭოთა რუსეთის ცნობა, ვიდრე როდისმე, მაგრამ ამერიკა რუსეთისაგან მოელის პირველი ნაბიჯის გადადგმასა.**

გუვერი დიდს მნიშვნელობას აწერს ეკონომიურ ფაქტორს და რუსეთის ხორბლეულობის გარე-ბაზარზე გამოსვლა საგონებელში აგდებს.

სხვადასხვა ამბები

ბელგია.

მთავრობის კრიზისი.

პარიზი. 26 ივნისი. „პტი პარიზიენ“-ის ცნობით, ტენისმა განაცხადა, რომ თუ 48 საათის განმავლობაში არ იქნება მიღწეული შეთანხმება პარტიებთან, ის უარს იტყვის კაბინეტის შედგენაზე. ერთად-ერთი გამოსავალი ამ შემთხვევაში იქნება პალატის გაშვება და ახალი არჩევნების დანიშვნა.

გერმანია

კომუნისტების შეტაკება ნაციონალისტებთან.

პარიზი. 26 ივნისი. ეისლებენში (საქსონია) მოხდა შეტაკება კომუნისტების და ნაციონალისტების პროცესიებს შორის. მოკლულია 9 კომუნისტი, დაჭრილია 12. ნაციონალისტებს შორის დაჭრილია 7 კაცი.

ბალკანეთი.

რუმინეთი და მოკავშირეები.

რომი. 26 ივნისი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობებით, რუმინეთის ფინანსთა მინისტრი ბრატიანო ამ ჟამად იმყოფება პარიზში. „პტი პარიზიენ“-ის თანამშრომლის შეკითხვაზე ბრატიანომ განაცხადა, რომ მისი მიზანია გააცნოს მოკავშირეებს ის შედეგები, რომელიც მიღწეულია რუმინეთის აღდგენის საქმეში. მას განზრახვა აქვს აგრეთვე წარუდგინოს პარიზის, ლონდონის და რომის კაბინეტებს რუმინეთის მთავრობის პროგრამა, რომელიც შეეხება რუმინეთის ეროვნულ სიმდიდრის გამოყენებას უცხოეთის კაპიტალის მონაწილეობით.

მაროკკო.

საფრანგეთის აგენტები მოქმედებენ.

ბერლინი. 26 ივნისი. იტალიის გაზეთის „იდეია ნაციონალე“-ს ცნობით, ესპანეთის მთავრობა ამტკიცებს, რომ აჯანყება მაროკკოს ესპანეთის ნაწილში გამოწვეული იყო საფრანგეთის აგენტების მიერ.

ინგლისი.

ინგლისი და შეერთებული შტატები.

ბერლინი. 26 ივნისი. ინგლის ამერიკის მოლაპარაკება არბიტრაჟის შესახებ განახლდა კიდევ ახალი 5 წლით.

ლოიდ-ჯორჯი ლოთობის წინააღმდეგ.

ბერლინი. 26 ივნისი. ლოიდ-ჯორჯმა კვირას წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მოითხოვდა მაგარ სასმელების აკრძალვას.

შვეციის ესკადრის დარბაზობა.

ლონდონი. 26 ივნ. ახლო მომავალში მოელიან ინგლისის წყლებში შვეციის ესკადრის ჩასვლას.

იტალია

რკინის-გზელთა შორის.

რომი. 23 ივნისი. დათხოვნილებმა რკინის-გზელებმა გამართეს მილანში დიდი კრება, რომელზედაც გამოიტანეს საპროტესტო რეზოლიუცია მათი სამსახურიდან დათხოვნის წინააღმდეგ, რომელშიაც აღნიშნულია ის ზარალი, რომელიც მოჰყვება საუკეთესო პროლეტარულ ელემენტების დათხოვნას.

კანონპროექტი საარჩევნო უფლების შესახებ.

რომი. 23 ივნისი. საპარლამენტო **კომისიამ ხანგრძლივი კამათის შემდეგ მიიღო 10 ხმით წინააღმდეგ 8-ისა კანონ-პროექტი ახალ საარჩევნო უფლების შესახებ. კანონპროექტის წინააღმდეგ ხმა მისცეს კომუნისტებმა და სოციალისტებმა.** მხარი დაუჭირეს კანონპროექტს ფაშისტებმა, ნაციონალისტებმა, ჯიოლიტტიმ, ორლანდომ და სალანდრამ.

შვეიცარია

ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო.

პარიზი. 23 ივნისი. შვეიცარიის ეროვნულმა საბჭომ, მოისმინა რა მთავრობის მოხსენება ამხ. ვოროვსკის მოკვლის შესახებ, ნდობა გამოუცხადა შვეიცარიის მთავრობას და მოიწონა რეზოლიუცია, რომელიც წარადგინა საკავშირო საბჭომ. რეზოლიუციის წინააღმდეგ ხმა მისცეს სოციალისტებმა და კომუნისტებმა.

საფრანგეთი

კათოლიკურ ორგანიზაციათა გავრცელება.

პარიზი. 23 ივნისი. გაზ. „იუმანიტეში“ კაშენი საფრანგეთის მუშების ყურადღებას აქცევს საფრანგეთში კათოლიკურ ორგანიზაციების გავრცელებაზე. კაშენისაზრით, მუშათა კლასმა უნდა დაამარცხოს კლერიკალიზმი საკუთარი ძალებით და არავითარი კავშირი არ დაიჭიროს მემარცხენე ბურჟუაზიულ პარტიებთან.

საელჩო ვატიკანში.

პარიზი. 23 ივნისი. საფრანგეთის სენატში ვატიკანის საელჩოს შენახვის ხარჯების განხილვის დროს, დემანჟიმ განაცხადა, რომ ის მოსწრეა ყველა ქვეყნებში დიპლომატიურ წარმომადგენლობისა და დაუმატა, **რომ დადგება დრო, როდესაც საჭირო იქნება საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის განახლებაო.**

საფრანგეთ-ავსტრიის სავაჭრო ხელშეკრულება.

პარიზი. 23 ივნისი. პარიზში ხელი მოაწერეს საფრანგეთ-ავსტრიის სავაჭრო ხელშეკრულებას.

იტალიის წარმომადგენელი მოსკოვში.

მოსკოვი. 23 ივნისი, მოსკოვში ჩამოვიდა იტალიის სავაჭრო დელეგაციის მეთაური პიჩენტი, რომელიც დაინიშნა ამადორის ადგილზე.

ამერიკა

ამერიკელ მეშთამადნეთა შორის.

ნიუ იორკი. 23 ივნისი. ამერიკის სამთამადნო მუშათა ყვითელი ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა მიწერილობა დაუგზავნა ადგილობრივ განყოფილებებს, რომ თავისი წრიდან გააძევონ ყველა რევოლიუციონური ელემენტები.

წითელ დახმარებაში

რუსეთი.

დახმარება ესპანელ მუშებს.

მოსკოვი. 23 ივნისი. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ გადასდო ბარსელონაში გაფიცულ ესპანელ მუშების სასარგებლოდ 6.000 მანეთი ოქროთი. ესპანეთის ტრანსპორტელთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთლიან კავშირისათვის გაგზავნილ დეპეშაში სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო აღნიშნავს, რომ რუსეთის პროლეტარიატი თანაგრძნობით ადევნებს თვალყურს ბარსელონის მუშების გმირულ ბრძოლას და აქეზებს მათ შემდეგი ბრძოლისათვის.

სოფლის საქონლის ბრუნვა.

მოსკოვი. 23 ივნისი. სახალხო კომისართა საბჭოში მოსმენილ იქნა ამხ. ლეჟავას მოხსენება სოფლად ვაჭრობის საქმის გასინჯვის შედეგების შესახებ სოფლის საქონლის ბრუნვაში ყველგან სჭარბობს წვრილი კერძო ვაჭრობა. სახელმწიფო ვაჭრობას სოფლად დამამზადებელი ხასიათი აქვს და ის სარგებლობს კერძო კაპიტალის კონტრ აგენტურით. კოოპერატიული ვაჭრობა, რომელსაც არა აქვს საბრუნავი თანხები, უმთავრესად სამომხმარებლო ხასიათის ვაჭრობაა.

სახალხო კომისართა საბჭომ აზრი გამოსთქვა კოოპერატიული ვაჭრობისათვის შეღავათებისა და კრედიტების მიცემის შესახებ და საკითხის საბოლოო გადაჭრა მიანდო განსაკუთრებულ კომისიას.

შეღავათები მუშებისა და მოსამსახურეების მგზავრობისათვის.

მოსკოვი. 23 ივნისი. გზათა სახალხო კომისარიატმა 50 პროც. შეღავათი მისცა იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომელნიც შრომის განყოფილებების მიერ წყლის გზებით იგზავნებიან სამუშაოზედ; შეღავათი მიეცათ აგრეთვე იმ პირთ, რომელნიც დათხოვნილი არიან შტატების შემცირების გამო და სოციალურ უზრუნველყოფაზე მყოფ პირებს.

სრულიად რუსეთის მელითონეთა ყრილობა.

მოსკოვი. 23 ივნისი. **დასრულდა სრულიად რუსეთის მელითონეთა ყრილობა.** მომავალში ყრილობები მოწვეული იქნება ორ წელიწადში ერთხელ. **ყრილობამ აღნიშნა მელითონეთა წარსულ ყრილობაზე აღებული კურსის სისწორე და დაადგინა მომავალშიც ის კურსი იქნეს გატარებული მუშათა ინტერესების ლითონის მრეწველობის ინტერესებთან შეფარდების გზით.**

ფიზიკურ კულტურის საბჭოს დაარსებისათვის.

მოსკოვი. 23 ივნისი. სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან დაარსებული ფიზიკურ კულტურის უმაღლესი საბჭო მიზნათ ისახავს სხვა და სხვა უწყებებისა და ორგანიზაციების მოღვაწეობის გაერთიანებას მშრომელთა ფიზიკურ აღზრდისა და განათლების საქმეში, აგრეთვე მოწყობას საერთო რესპუბლიკურ დღესასწაულებებისა, შეჯიბრებებისა, გამოფენებისა და ყრილობებისა ფიზიკურ აღზრდის საქმის შესახებ და სათანადო აგიტაციისა და პროპაგანდისათვის ხელმძღვანელობის გაწევას.

საბჭოში შედიან განათლების, სამხედრო და საზღვაო და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების, რუსეთის კომუნისტურ პარტიის ცეკას, რუსეთის ახალგაზრდობის კომკავშირის ცეკას და სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს წარმომადგენლები.

საჰაერო ფლოტი.

ცარიცინი. 24 ივნისი. სოფ. ოლხოვსკის სოფლის გლეხებმა საკუთარის თაოსნობით გადასდეს 28 დესეტინა პირნახულის მოსავალი ამხ. ვოროვსკის სახელობის ჰაეროპლანის შესაძენად. ოლხოვსკის გლეხობას სხვა სოფლის გლეხებიც ჰბაძავენ.

მინსკი. 24 ივნისი. მინსკის მაზრებში დაარსდა საჰაერო ფლოტის დამხმარე კომიტეტები სახელწოდებით „საჰაერო ფლოტის მეგობრები“.

ტაშკენტი. 24 ივნისი. ძველს ბუხარაში დაარსდა „საჰაერო ფლოტის მეგობართა“ საზოგადოება. განზრახული აქვთ შეიძინონ ოთხი ჰაეროპლანი.

„გლეხის სახლი“.

რიბინსკი 24 ივნისი. **რიბინსკში იხსნება გლეხის სახლი, რომელსაც ექნება ბიბლიოთეკა, ლექცია-მოხსენებების წასაკითხავი დარბაზი და ცნობების ბიურო.**

რუსეთის კომუნისტური ახალგაზრდობის კონფერენცია.

მოსკოვი. გაიხსნა რუსეთის კომუნისტური ახალგაზრდობის კონფერენცია.

გერმანელ გაფიცულ მეზღვაურების სასარგებლოდ.

არხანგელსკი. 24 ივნისი. **ადგილობრივმა მეზღვაურებმა ერთი დღის ხელფასი გადასდვეს გაფიცულ მეზღვაურების სასარგებლოდ.**

რაიონებად დაყოფა ოლქებისა.

მოსკოვი. 24 ივნისი. უმაღლესმა ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასდო სამხრეთ-აღმოსავლეთის ოლქის დაყოფა რაიონებად. მომავალ სესიაში განზრახულია ასეთი დაყოფა მოხდეს მხოლოდ ურალის ოლქში.

ხარკოვი. 24 ივნისი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წევრმა ნევსკიმ განაცხადა, რომ უკრაინის დაყოფა რაიონებად უმტკივნეულოთ ჩატარდა, გაუმჯობესდა პირადი შემადგენლობა. ამ დაყოფამ დიდი სამეურნეო და კულტურული როლი ითამაშა სააღმშენებლო საქმეში.

უცხოელები რუსეთის გამოფენებზე და ბაზრობაზე,

მოსკოვი, 24 ივნისი. მოსკოვში ჩამოვიდა იტალიის სამრეწველო წრეების წარმომადგენელი ბარდიერი, რომელსაც მიზნად აქვს დასახული გამოიკვლიოს იტალიის მრეწველთა მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

უკვე გამოირკვა საფრანგეთის ფირმების მონაწილეობის პირობები ნიჟეგოროდის გამოფენაზე. ფრანგებს გამოფენაზე დაეთმოთ ცალკე შენობა.

მრეწველობის ფონდები.

მოსკოვი. 24 ივნისი. სამრეწველო ბიუროების წარმომადგენლების თათბირზე ამხ. კრასნოშჩეკოვის მიერ გაკეთებული მოხსენებიდან სჩანს, რომ მრეწველობის მიერ მიღებული დახმარებიდან 46 პროც. გაიღო სახელმწიფომ, დანარჩენი კი მიღებულია ბანკებისაგან, ეს იმის მაჩვენებელია, რომ მრეწველობა თანდათანობით გამოდის სახელმწიფოს ბიუჯეტიდან.

ესერების კონფერენცია.

ნიჟნი-ნოვგოროდი. 25 ივნისი. სორმოვოში შესდგა ესერების პარტიის უბრალო წევრების კონფერენცია, რომელმაც მოღალატეებად გამოაცხადა პარტიის ბელადები.

ნათესების მდგომარეობა ციმბირში.

ირკუტსკი. 26 ივნისი. ნათესები ციმბირში გვალვების გამო საფრთხეშია.

უკრაინა.

საკრედიტო კოოპერაცია

ხარკოვი, 24 ივნის. მოსავალს კარგი პირი უჩანს, ამის გამო სასოფლო-საკრედიტო კოოპერაციას გამოცოცხლება დაეტყო. საკრედიტო ამხანაგობების რიცხვი ქალაქებში საგრძნობლათ გაიზარდა.

ელექტროფიკაცია.

ხარკოვი, 24 ივნისი. **უკრაინის ეკონომიურმა საბჭომ გამოიმუშავა გეგმა მდ. დნეპრის ელექტროფიკაციის მიზნისათვის გამოსაყენებლად** პირველი ელექტროსადგური, 800,000 ცხენის ძალის მქონე დადგმული იქნება ქ. ზაპოროჟიეს ახლო, სადგურის აშენება დაიწყება მომავალი წლის გაზაფხულიდან და გასტანს 15 წელიწადს. სულ მთელ საქმეს დასჭირდება 214 მილიონი ოქროს მანეთი. ფინსახკომი დასთანხმდა ყოველწლიურათ ელექტროსადგურის ასაგებათ გადასდოს 15 მილიონი მანეთი ოქროთი.

უკრაინის კ. პ. ც. კ. პლენუმში.

ხარკოვი, 24 6. 20 ივნისს გაიხსნა უკრაინის კომპარტიის ახალი ცენტრალური კომიტეტის პლენუმში. დღის წესრიგში დგას რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, მათ შორის ნაციონალური და ცენტრალური საკანტროლო კომისის შესახებ.

პროფინტერნში

პროფინტერნის ცენტრალურ საბჭოს მესამე სესია.

მოსკოვი. 23 ივნისი. **25 ივნისს იხსნება პროფინტერნის ცენტრალურ საბჭოს მესამე სესია.** სესიის დროს იმუშავებენ სპეციალური კომისიები პროპაგანდის საერთაშორისო კომიტეტებისა, გაფიცვების სტრატეგიისა, მეზღვაურების შრომის პირობების გამომრკვევი ნავთსადგურის ბიუროებისა და ქალთა და ახალგაზრდათა შორის მუშაობის საკითხებს.

სრულიად-რუსეთის მელითონეთა კავშირი და მელითონეთა ინტერნაციონალი.

მთელი მსოფლიოს მუშა-მელითონეების ერთიანი ფრონტის შექმნის მიზნით, რუსეთის მელითონეების კავშირმა ჯერ კიდევ 1921 წლიდან დაიწყო ნაბიჯების გადადგმა მელითონეთა საერთაშორისო გაერთიანებაში შესასვლელად. 1921 წლის ივლისში რუსეთის კავშირმა გაგზავნა წარმომადგენლები მელითონეთა საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც მოწვეული იყო ლიუცერნში.

მაგრამ რუსეთის დელეგატები, რომელთაც უნდა მიეწოდებინათ კონგრესისათვის ცნობები რუსეთის კავშირის მდგომარეობის შესახებ და სურვილი გამოეთქვათ ინტერნაციონალში შესვლაზე, არ შეუშვა შვეიცარიის საზღვრებში.

1922 წელს სრულიად-რუსეთის კავშირმა კვლავ განაახლა თავისი ცდები ერთიანი ფრონტის შესაქმნელად და წინადადება მისცა მელითონეთა საერთაშორისო გაერთიანების აღმასრულებელ ბიუროს გამოეგზავნა წარმომადგენლები სრულიად-რუსეთის მუშა-მელითონეთა მე-5-ე ყრილობაზე. ამავე წელს რუსეთის კავშირის წარმომადგენლები შვეციის მელითონეთა მე-14-ე ყრილობაზე შეხვდენ მელითონეთა საერთაშორისო გაერთიანების მდივანს ილგს, რომელთანაც ჰქონდათ არაოფიციალური მოლაპარაკება გაერთიანებაში რუსეთის კავშირის შესვლის შესახებ, მაგრამ ეს მოლაპარაკება უშედეგოთ დარჩა.

ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, მელითონეების საერთაშორისო გაერთიანების და რუსეთის კავშირის წარმომადგენლების კონფერენცია შესდგა ფრიდრიხსგაფენში (გერმანია). სხდომას დაესწრენ: მელითონეთა საერთაშორისო გაერთიანებიდან—ილგი, საერთაშორისო გაერთიანების მდივანი და დისმანი, გერმანიის მელითონეთა კავშირის თავმჯდომარე: რუსეთის კავშირიდან—ამხ. ამხ. ვაკსოვი და შვერნიკი.

თათბირის უმთავრეს საკითხს შეადგენდა რუსეთის კავშირის მიღება მელითონეთა საერთაშორისო გაერთიანებაში. კონფერენციაზე დისმანი და ილგი აღნიშნავდენ, რომ ისინი მომხრე არიან დაუშვან რუსეთის კავშირი მელითონეთა საერთაშორისო გაერთიანებაში, მაგრამ მოელიან რუსეთის კავშირიდან პატიოსან თანამშრომლობას და, სცნობდენ რა პრინციპიალურად მხოლოდ ერთი ინტერნაციონალის არსებობას, სვამდენ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ მოახერხებს რუსეთის კავშირი ორ, ერთი მეორის მოწინააღმდეგე ინტერნაციონალში ყოფნას.

ამაზე რუსეთის კავშირის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ მათი შესვლა პროფინტერნში საკუთარი ნაციონალური პროფესიონალური ორგანიზაციის—სრულიად-რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს—საშუალებით არ შეუშლის ხელს მელითონეთა იმ ინტერნაციონალში შესვლას, რომელიც ფორმალურად არ ეკუთვნის ამსტერდამს და აქვს მასთან კავშირი მხოლოდ ნაციონალური გაერთიანების საშუალებით, რომლებშიაც შედიან მისი მომხრე კავშირები. ამისათვის რუსეთის კავშირის წარმომადგენლებმა მოიყვანეს მაგალითად ამერიკის მემანქანეთა ასოციაცია, რომელიც შედის მელითონეთა ინტერნაციონალში და ამავე დროს ითვლება ამერიკის იმ რეაქციონურ ნაციონალისტურ შრომის ფედერაციის წევრად, რომელიც აწარმოებს ბრძოლას ამსტერდამის ინტერნაციონალთან. რუსეთის კავშირი კი შედის პროფინტერნში, რომელიც ყოველივე ძალ-ღონით იბრძვის ერთიანი ფრონტის შექმნისათვის.

თათბირის შემდეგ მიღებულია რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ მელითონეთა საერთაშორისო გაერთიანების და რუსეთის კავშირის წარმომადგენლებს აუცილებლად მიაჩნიათ პატიოსანი თანამშრომლობა და დაახლოვება. რუსეთის კავშირი მზად არის იმუშაოს გაერთიანებასთან ერთად იმ სახელმწიფოებში, სადაც მელითონეთა კავშირები დაქსაქსული არიან და ხელი შეუწყონ ერთიანი ფრონტის შექმნას.

თუ ტრანსპორტების საერთაშორისო ფედერაციის და რუსეთის მეზღვაურების, ტრანსპორტელების და რკინის-გზელების ორგანიზაციების კონფერენციაზე იქნება მიღებული რაიმე შეთანხმება ომის, რეაქციის და ფაშიზმის საწინააღმდეგო ბრძოლის შესახებ, ამ კონფერენციაზე დამსწრე მელითონეთა საერთაშორისო გაერთიანების წარმომადგენლები შეიტანენ ამ შეთანხმებას განსახილველად მელითონეთა საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელ ორგანოებში.

უცხოეთის ცხოვრება

უნგრეთის კონტრიბუცია.

მაისის დამლევს საკონტრიბუციო კომისია შეუდგა უნგრეთის კონტრიბუციების საკითხის განხილვას. ინგლისელებმა და იტალიელებმა წარმოადგინეს სახელმწიფოს შემოსავლებზე წინასწარი კონტროლის დანიშვნის გეგმა იმ მიზნით, რომ უნგრეთის მიმართ შემდეგ გამოყენებულ იქნეს იგივე სისტემა, რომელიც განხორციელებული იყო ავსტრიის მიმართ. თუმცა ეს წინადადება კომისიის თავმჯდომარის, საფრანგეთის წარმომადგენლის მიერ უარყოფილ იქნა, მაგრამ მიუხედავად ამისა, კომისიამ დაადგინა ზოგიერთ შემთხვევებში დაწესებულ იქნეს კონტროლი შემოსავლების ნაწილზე, როგორც აუცილებელი გარანტია იმ სესხისა, რომლის პროექტიც დამუშავებული იქნება უნგრეთის მიერ და წარდგენილი კომისიაში განსახილველად.

ეს სესხი უმთავრესად უნდა მოხმარდეს სახელმწიფოს ფინანსების განმტკიცებას, რომ მან შესძლოს შემდეგში კონტრიბუციის გადახდა. ვინაიდან სესხზე ლაპარაკი ქვეყნის ფინანსიურ და ეკონომიურ მდგომარეობასთან გაუცნობლად შეუძლებელია, ამისათვის გადაწყვეტილია სპეციალური კომისიის გაგზავნა, რომელიც შეისწავლის უნგრეთის ფინანსიურ და ეკონომიურ მდგომარეობას.

სარეპარაციო კომისიის აზრით უნგრეთი უკეთეს პირობებში იმყოფება, ვინემ ავსტრია, რადგან უნგრეთი მიწათმოქმედების ქვეყანაა და მას არ აწუხებს მოსახლეობის ზედმეტობა. ეხლანდელი მთავრობა ანტანტის ნდობით სარგებლობს, მაგრამ შიშს იწვევს მადიარების განახლების საზოგადოება, რომელსაც დიდი გავლენა აქვს მოპოებული.

ამიერ კავკასიის ცხოვრება

საქართველო.

თავისუფალი ნავთსადგური.

ბათომი. 25 ივნისი. ბათომში თავისუფალ ნავთსადგურის მოწყობის საკითხის შესახებ, „როსტა“-ს თანამშრომელმა შემდეგი ცნობები მიიღო ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ბათომის განყოფილების გამგე ამხ. იშეევიდან, რომელიც აჭარისტანის ავტონომიურ ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ეკონომიურ თათბირის მიერ გამოყოფილ კომისიის თავმჯდომარეა; კომისიამ უნდა შეიმუშაოს მოხსენება თავისუფალ ნავთსადგურის მოწყობის შესახებ. როგორც აღნიშნა ამხ. იშეევმა ბათომში 1922 წლიდან შეჩნეული იყო ეკონომიური კრიზისი, რომელიც თანდათან იზრდებოდა.

კომერციული ცხოვრების მაჯისცემა სრულებით შეწყდა. მსხვილი ფირმები ლიკვიდაციას უშვრებიან თავის საქმეებს, დაიხურა საუკეთესო სავაჭრო-სამრეწველო შენობები და ადგილობრივმა ვაჭრობამ უმნიშვნელო წვრილმანი ოპერაციების ხასიათი მიიღო.

კომერციულ ოპერაციების მინიმუმამდე დაცემას თან მოჰყვა შემოსავლის მუხლების შემცირება სახელმწიფო და კომუნალურ ხარჯებიდან, რამაც გავლენა მოახდინა ჩვენი მანეთის სტაბილიზაციაზე. დროებით შექმნილ კრიზისთან საბრძოლველად აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭომ წამოაყენა ბათომში თავისუფალი ნავთსადგურის მოწყობის პროექტი; ეს ნავთსადგური თავის დადებით მხარეებთან ერთად არ დაარღვევს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას და საბჭოთა მრეწველობის დაცვისათვის შემოღებულ სისტემას.

იცავს რა საბაჟო თავდაცვის წესებს, თავისუფალ ნავთსადგურს საბაჟო შევიწროებების მინიმუმი მოაქვს ვაჭრობისა და ნაოსნობისათვის. პორტოფრანკოსაგან თავისუფალი ნავთსადგური გაირჩევა იმით, რომ თავისუფალი ნავთსადგურები მთელ ქალაქზე კი არ ვრცელდება, არამედ ნავთსადგურის ტერიტორიის ნაწილზე, რომელიც იფარგლება კედლით. და იქ შენდება სატრანზიტო საწყობი.

საზღვარგარეთელი საიმპორტო საქონელი თავისუფლად გადმოიტვირთება ამ ტერიტორიაზე ულიცენზიოდ და უვიზოდ და საბაჟო გადასახადების გადაუხდელად, და ისევე თავისუფლად შეიძლება გატანილ იქნეს უკანვე საზღვარგარეთ.

ყოველგვარი საქონლის გაშვება ამ ტერიტორიიდან ხდება საზღვარგარეთელ საქონლის შემოტანისათვის დაწესებულ წესების დაცვით.

საექსპორტო საქონელი, რომელიც მიტანილი იქნება ამ ტერიტორიაზე ყველა არსებულ წესების შესრულებით, შეიძლება შემდეგ გატანილ იქნეს თავისუფლად. ბათომის თავისუფალი ნავთსადგური: 1) შეამცირებს იმ დაბრკოლებებს, რომელსაც სავაჭრო გემები განიცდიან ნავთსადგურში საბაჟო წესების შესრულების დროს, რადგან ამ სისტემის დროს გემებისა და საქონლის მიღება შეფარდებული იქნება არა მოსულ საზღვარგარეთელ გემებისათვის, არამედ საქონლისათვის, მისი გადმოტვირთვის შემდეგ, როდესაც ის წარდგენილი იქნება [illegible] სახელმწიფოს შიგნით გასატანად; ამითი შემცირებული იქნება გემების სატვირთო ოპერაციების ხარჯები, მათი საქონელზე გადატანით; 2) საშუალებას იძლევა მოხდეს ნავთსადგურის საზღვრებში საქონლის ხარისხებად გადაწყობა, ბაზრის მოთხოვნილების თანახმად, და მისი გადამუშავება, რაც გაადიდებს წარმოების კოეფიციენტს და ადგილობრივ მუშა ხელის უტილიზაციას; 3) გააძლიერებს საქონლის გაცვლა-გამოცვლას, სახელმწიფოს ეკონომიური პოლიტიკის დაურღვევლად, და ამ რიგად გააძლიერებს ჩვენს ექსპორტს; 4) გააძლიერებს საკონცესიო კაპიტალის შემოსვლას; 5) ზოგ შემთხვევებში გააიაფებს და ღირსების მხრივ უფრო გააუმჯობესებს სახელმწიფო ორგანოების მიერ საზღვარგარეთელი საქონლის შესყიდვას; აცილებული იქნება საზღვარგარეთ ეკონომიური წარმომადგენლების გაგზავნის აუცილებლობა და ბევრად უფრო გაადვილებს საექსპორტო საქონლის გაყიდვას საზღვარგარეთელ ფირმებთან უშუალო დამოკიდებულების დამყარებით; 6) გაანთავისუფლებს ჩვენს საიმპორტო ვაჭრობას სტამბოლის შუამავლობისაგან, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ დაბრკოლებების დროს, რომელსაც გვიყენებს ამ ჟამად სტამბოლის საბაჟო საბჭოთა ფედერაციიდან საქონლის გაზიდვისათვის; 7) გაიაფების საიმპორტო საქონელს შუამავლობის ხარჯების შემცირებით დი აგრეთვე ძვირად ღირებულ რისკის ხარჯების შემცირებითაც, რომელსაც იმპორტერები ხედავენ იმაში, რომ ხანდახან შეუძლებელია საქონლის გემებიდან გადმოტვირთვა იმის გამო, რომ არ არის დაცული არსებული წესები, ანდა იმის გამო, რომ ხანდახან აკრძალულია საქონლის შემოტანა, ასეთ შემთხვევებში ყოველთვის არ შეიძლება მათი უკანვე წაღება.

საქონლის გაიაფების საქმეში მცირე როლს არ ითამაშებს აგრეთვე დიდიხნით შენახვის უფლების მინიჭება, რომელიც წესდება თავისუფალ ნავთსადგურის ტერიტორიაზე შეღავათიან პირობებში. თავისუფალ ნავთსადგურის სისტემას აქვს რამოდენიმე ვარიანტი, მაგრამ ეს უკვე ტეხნიკური საკითხია, რომელიც დეტალურად დამუშავებული იქნება ცენტრში ძირითად საკითხის გადაწყვეტის შემდეგ.

გორი

სეტყვა გორის მაზრაში.

გორი. 24 ივნისი. 13, 14 და 15 ივნისის განმავლობაში გორის მაზრის რამდენიმე თემში არაჩვეულებრივი სეტყვა იყო. სეტყვა კვერცხის ოდენა იყო; ზოგიერთ რაიონებში სეტყვა ერთ საათამდის გაგრძელდა. ზარალი აურაცხელია. გორის სამაზრო აღმასკომმა საჩქაროდ გაგზავნა ამხანაგები დაზარალებულ რაიონებში ზარალის რაოდენობის გამოსარკვევად. უმთავრესად დაზარალდენ შემდეგი თემები: ახალქალაქის, ქვემოჭალის, გორის, ქარელის, გომის, სურამის, საციხურის, ათენის და კავთისხევის.

მიღებულ ცნობების თანახმად პურისა, სიმინდისა, ქერისა და კართოფილის ნათესები სრულებით განადგურებულია 5960 დესეტინის სივრცეზე. განადგურებულია 200 დესეტინამდე ბაღები და ვენახები. საძოვარ ადგილებში სეტყვის მიერ მოკლულია 100 თავი მსხვილ ფეხა და 300 წვრილფეხა საქონელი. ზარალის გამოანგარიშება სხვა რაიონში გრძელდება.

აჭარა

მენშევიკური ოპერაციების ლიკვიდაციისათვის

ბათომი. 25 ივნისი. ყოფილ მენშევიკურ მთავრობის მიერ გერმანიაში შესყიდულ რკინის გზისა და სხვა ქონელს შორის, რომელიც შემდეგ მათი გაქცევის დროს გატანილ იქნა საზღვარგარეთ, იყო აგრეთვე 144 (170 ტონა) ადგილი ფულის ნიშნების და სხვ. საბეჭდავი მანქანებისა. ამ საქონლის ღირებულება 1920 წ. კურსით უდრის 1,500,000 მარკას. ამჟამად მიღებულია ცნობები, რომ ეს მანქანები დატვირთულია გემ „დურაცცოზე“, რომელიც 23 მაისს გამოვიდა ბრემენიდან. ტვირთი მოდის სახალხო კომისართა საბჭოს სახელზე. გემს ამ დღეებში მოელიან ბათომში.

აზერბეიჯანი.

სავაჭრო სამრეწველო მუზეუმი.

ბაქო. 28 ივნისი. ამჟამად სავაჭრო სამრეწველო სახალხო კომისარიატში გამალებული მუშაობაა სავაჭრო-სამრეწველო მუზეუმის მოსაწყობათ. აზერბეიჯანის სოც. საბჭოთა რესპუბლიკის მსხვილი დაწესებულებანი მზად არიან სამუზეუმოდ გადასცენ კოლექციები. მაგ. კასპიის ზღვის სახელმწიფო სამმართველოს მზათ არის გადასცეს კასპიის ზღვის შორის ფლორისა და ფაუნის ნიმუშები, გემის მოწყობილობანი და სხვ. აზერბეიჯანის კავშირი გადასცემს თავისი მრეწველობის ნიმუშებს. აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სამმართველო მიაწვდის ნავთის ნაწარმოებებს და სამრეწველო ქარხნების ზოგიერთ მოდელებს. საკითხია აღძრული, რათა ამ მუზეუმშივე თავი მოუყარონ აზერბეიჯანის შინამრეწველობის დამახასიათებელ მასალებს, ხელსაწყოს და იარაღებს, რომელსაც ათასი წლის ისტორია მაინც აქვს და საუცხოვო ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენს.

ნავთის ნაწარმოებთა გაზიდვა.

ბაქო 25 ივნისი. გაზიდულია 20—22 ივნისის განმავლობაში ბაქოდან ასტრახანში შავი ნავთის ნაწარმოებები 1.371.988 ფუთი 213 524 ფუთი ნავთი, 5808 ფუთი ზეთეულობა. რაფუშიდან ასტრახანში—შავი ნავთის ნაწარმოებები—342 000 ფუთი; ბაქოდან მტკვრის რეიდზე—შავი ნავთის ნაწარმოები 18 999 ფუთი.

ნავთის ფრონტზე.

ბაქო. 25 ივნისი. ივნისის 18-20 განმავლობაში ბაქოს ყველა ნავთის სამრეწველოებზე ამოღებულია 1.842 ათასი ფუთი ნავთი. გადასაქაჩავად მიშვებულია 1.267.000 ფუთი, საქაჩავიდან მიღებულია 1-254 ფუთი დაწმენდილია 197.000 ფუთი. ბურღვა სწარმოებდა 170—174 ჭაში. ჩაბურღულია 372 საჟენი.

სომხეთი

მუშათა კლუბის საზაფხულო თეატრი.

ერევანი. 25 ივნისი. გაიხსნა მუშათა კლუბთან ახლად აგებული საზაფხულო თეატრი.

გამოფენებზე.

ერევანი. 25 ივნისი. სამხატვრო სკოლების გამოფენა დაათვალიერა 1500 კაცმა. სოციალური აღზრდის გამოფენა დაათვალიერა 1000 მეტმა კაცმა.

მორწყვა.

არაზდაიანი. 25 ივნისი. არაზდაიანის მიდამოში ამოსუფთავებულია სარწყავი არხი 80 ვერსის მანძილზე. ადგილ და ადგილ არხებში დუღაბი დააგეს.

აღმშენებლობა.

გუმბრი. 25 ივნისი. ყიზილქოჩში განზრახულია სამოსწავლო აღმასრულებელი კომიტეტისათვის ბინის აგება და ტელეფონით შეერთება გუმბრთან.

სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმში.

ერევანი. 24. ივნისი. 16 ივნისს სამაზრო კომიტეტების მდივნების მონაწილეობით **გაიხსნა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.** დღის წესრიგის მნიშვნელოვან საკითხებათ იყვნენ: რ. კ. პ. 7 ყრილობის დადგენილებების გატარება. საბჭოთა აღმშენებლობა, სახელმწიფო აღმშენობლობა და პარტიული აღმშენებლობა. 17 და 18 ივნისის სხდომაზე მოსმენილ იქნა ცენტრალურ კომიტეტის განყოფილებების ანგარიშები და განხილულ იქნა ახალგაზრდათა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მოხსენება და საკითხები, პრესისა ანტისარწმუნოებრივი პროპაგანდისა, კოოპერაციისა და პროფკავშირების შესახებ.

ინტერესი სრულიად რუსეთის გამოფენისათვის.

ერევანი 24 ივნისი სომხეთის მოსახლეობის სხვა და სხვა ნაწილებში, განსაკუთრებით გლეხებსა და პროფორგანიზაციების წევრებს შორის, შემჩნეულია დიდი ინტერესი მოსკოვის სასოფლო სამეურნეო გამოფენისადმი. ადგილებიდან შეუწყვეტლივ მოდის ექსპონატები გამოფენისათვის. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება აბარანის, ყარაბახის და ზანგეზურის ტიპიური სომხური სახლების მოდელები.

ცხენების ქარხნის რეორგანიზაცია.

ერევანი. 24 ივნისი მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატში მუშავდება სახელმწიფო ცხენების მომშენებელ ქარხნის რეორგანიზაციის პროექტი. პროექტს საფუძვლად უდევს ცხენების ქარხნის ადგილებისათვის დაახლოების მისწრაფება. განზრახულია ადგილებზე გახსნილ იქნას მთელი რიგი შემაერთებელი პუნქტებისა.

პარტიული ცხოვრება

ახალგაზრდათა კომკავშირის უჯრედი კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალთან“.

უჯრედის ბიუროში შედის 8 ამხანაგი. ბიურო ხელმძღვანელობას უწევს უჯრედის მუშაობას და ცხოვრებას. ტფილისის კომიტეტისა და ახალგაზრდათა კომკავშირის 2-რე რაიკომის მიერ წამოყენებულ საკითხების გარდა ბიურო აყენებს აგრეთვე თავის საწარმოო და მიმდინარე საკითხებს. საერთოდ ბიურო ცოტა მოიკოჭლებს, თუმცა უკანასკნელ საანგარიშო თვის განმავლობაში მის მუშაობას გამოცოცხლება ეტყობა. ბიუროს ერთი წევრი სათათბირო ხმით შედის კომუჯრედის ბიუროში. ბიურო წინდაწინვე აყენებს უჯრედის სხდომების დღის წესრიგს.

უჯრედში ამ ჟამად ითვლება 30 წევრი, რომელთაგან 23 წევრია და 7 ახალგაზრდათა კომკავშირის კანდიდატი. საანგარიშო დროის განმავლობაში მოწყობილი იყო 10 სხდომა, გარჩეულ იქნა 1 ანტი-სარწმუნოებრივი საკითხი, 6—პოლიტიკური, 2—საბჭოთა და 4 კავშირის საკითხი. აპრილის პირველ ნახევარში უჯრედის მუშაობა მოიკოჭლებდა, არ იყო ინსტრუქტორი. აპრილის შუა რიცხვებიდან კომუჯრედის მიერ ახალგაზრდათა კომკავშირის უჯრედში გადაყვანილ იქნა ხელმძღვანელად ამხ. ჟ., რომელმაც მოაწყო მუშაობა და დააინტერესა უჯრედი განსახილველ საკითხებით. უჯრედში ის მოხსენებებს აკეთებდა რუსულსა და ქართულ ენებზე.

საერთოდ ხელმძღვანელის მუშაობა სრულებით ნაყოფიერია. უჯრედი ხშირად აწყობს სხდომებს კომუჯრედთან ერთად. უჯრედის სამი ამხანაგი იმავე დროს მუშაობს კომპარტიის უჯრედში. სხდომებს ყველა ბეჯითად ესწრება მივლინებულთ გარდა. ახალგაზრდათა კომკავშირის უჯრედის მიერ კომპარტიის უჯრედთან ერთად არჩეულია კომისია სოფლის უჯრედზე შეფობის მისაღებად.

საანგარიშო დროის განმავლობაში მუშაობას უპარტიოთა შორის არ ჰქონდა სისტემატიური ხასიათი, იყო მრავალი დეფექტები. შემდეგი თვეებისათვის შემუშავებულია უპარტიოთა შორის მუშაობის გეგმა, გარდა საერთო კრებებისა განზრახული გვაქვს საერთო ექსკურსიების მოწყობა, მათთან საუბრებისა და ლექციების გამართვა. ფაბრიკის ახალგაზრდებს ემჩნევათ ლტოლვა ახალგაზრდათა კომკავშირის უჯრედისაკენ ჯერჯერობით მიღებულია 5 წევრი, არის კიდევ განცხადებები ახალგაზრდათა კომკავშირის უჯრედში მიღების შესახებ.

უჯრედში არც ერთი წევრი არ არის, რომელსაც არ ჰქონდეს კულტვალდებულება. მთელი უჯრედი მონაწილეობას იღებს წრეების მეცადინეობაში, როგორც სამხედრო ორკესტრში, დრამატიულ წრეში და სხვა. უჯრედის წევრთა შორის არც ერთი არ არის წერა-კითხვის უცოდინარი. პოლიტიკური ანბანის უცოდინარობის ლიკვიდაცია ხდება ფაბრიკასთან არსებულ რუსულ და ქართულ პოლიტიკურ წრეების საშუალებით.

მომავლისთვის ახალგაზრდათა კომკავშირის უჯრედი ისახავს მიზნათ: გააძლიეროს მუშაობა უპარტიო ახალგაზრდებს შორის, დაეხმაროს კომუჯრედს ამა თუ იმ კამპანიის გატარებაში. ახალგაზრდათა კომკავშირის უჯრედის ხელმძღვანელს ამხ. ჟ. დაევალა გამოიჩინოს ენერგიის მაქსიმუმი უჯრედის მუშაობის ნაყოფიერების ასამაღლებლად.

რ.

სამტრედია.

ხუთშაბათს, 15 ივნისს, მოხდა ქალაქის კომუჯრედის მორიგი კრება, რომელსაც დაესწრო საკმაო რიცხვი ამხანაგებისა. საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. პორ. შენგელიამ, რომელიც შეეხო, რუსეთის უკანასკნელ პასუხს კერზონის ნოტაზე და აღნიშნა ის მშვიდობიანობის მდგომარეობა, რომლითაც გამსჭვალულია ჩვენი პასუხი, და თუ არც ეხლა დაყრიან ფარხმალს ინგლისის იმპერიალისტები, მაშინ საბჭოთა ხელისუფლება საკადრისს პასუხს გასცემს მათ... ილაპარაკა აგრეთვე—2 ინტერნაციონალის შესახებ, რომელიც საბოლაოთ „დაგვირგვინდა“ და მჭიდრო კავშირით შეეკრა ბურჟუაზიას. საქართველოში ხდება გარდატეხა მენშევიზმის ძველ წევრებში, რაც იმის მომასწავებელია, რომ შორს არაა ის დრო როდესაც საბოლაოთ მოისპობა მენშევიკების ხსენება მშრომელთა მასებში.

ამის შემდეგ წაიკითხეს სხვადასხვა ცირკულიარები, რომლებიც მიიღეს სახელმძღვანელოთ და შესასრულებლათ.

ხან-კანი.

განცხადება.

ყველა დაწესებულებათ და კერძო პირთ (გარდა სამხედრო უწყებისა), რომელთაც ყავთ სამგზავრო თუ საბარგო ავტომობილები და მოტოციკლეტები, ევალებათ დაუყოვნებლივ მიიღონ ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტიდან (ოთახი № 4) შესაფერისი ნომრები და მოწმობები თავისუფალ მიმოსვლის შესახებ.

იმ დაწესებულებათ და კერძო პირთ, რომელთაც რეგისტრაციაში ერთხელ უკვე გაუტარებიათ თავიანთი მანქანა და დროებითი მოწმობებიც მიუღიათ, ევალებათ უკან წარმოუდგინონ დროებითი მოწმობები და მიიღონ სათანადო ნომრები და მუდმივი მოწმობები.

რეგისტრაცია ტარდება შემდეგ ვადებში:

1, 2, 3, 4 კომისარიატი—27 ივნისიდან 5 ივლისამდე
5, 6, 7, 8 „ — 6 ივლისიდან 10 „
9, 10, 11, 12, 13 „ —11 „ 16 „

სარეგისტრაციოთ გამოცხადებულთ ნომრების მიღებისთანავე გადახდებათ, თანახმად აღმასკომის დადგენილებისა, მოწმობების და ნომრების დასამზადებელი ერთი მანეთი და სამოცდა ხუთი კაპ. ჩერვონც. სრულიად გამოუდეგარი ავტომობილები და მატოციკლეტები არ გატარდებიან რეგისტრაციაში და არც ნომრები გაიცემა მათზე.

მანქანათა პატრონთ, რომლებიც სარეგისტრაციოდ და მოწმობების მისაღებად დანიშნულ ვადაზე არ გამოცხადდებიან, გადახდებათ საურავი (ПЕНИ) ვადის გასვლიდან 10 დღის განმავლობაში შესატან თანხის 5 პროცენტის რაოდენობით.

ამ დაწესებულებათ და პირთ, რომელნიც რეგისტრაციაში არ იქნებიან გატარებული და უბილეთოდ და უმოწმობოდ მიმოსვლას განაგრძობენ, სრულიად ეკრძალებათ მიმოსვლა და პატრონნიც პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი.

3—1 პრეზიდიუმი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი თბილისში.

(26 ივნისი)

ჩერვონცები	—13,450 ათასი.
გირვან. სტერ. ეფექტ.	—14,750 ათ.
„ ჩეკები	—12 800
დოლარები — ეფექტ.	—3.450
„ ჩეკები	—3.100
ოსმალ. ქაღალ. ლირა	—2.385
იტალიური ლირა —	— 115
ფრანგული ფრანკი ეფექტ.	170
საბჭ. ფულის ნიშნ. —	20 ნახ.

ბირჟის გარიგებანი.

(26 ივნისი).

ფქვილი ყუბანის 1-ლი ხარისხის 2,950,000 მანეთი ფუთი ტომრით ფრანკო თბილისის სადგური.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

(26 ივნისი).

პურის პროდუქტებზე ფასები უცვლელია, ყუბანის ხორბალზე მოთხოვნილება ნაკლებია. დანარჩენ საქონელზე ფასები უცვლელია.

მუშკოპის ფასები.

(25 ივნისი).

პური თეთრი—65 ათასი, პური 2 ხარისხ.—45, ფქვილი თეთრი—100 ათ. საპონი როსტოვის—360, ლობიო ძველი—15—35, ბრინჯი აგდაშის—140 ათ. გირ., კარტოფილი ახალი—45 ათ. გირ.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საფეიქრო-ზეთის გამოსახდელ და საპნის ტრესტი.

(მუშაობის მიმოხილვა 1923 წ. მაისის განმავლობაში).

საანგარიშო თვის განმავლობაში იმ წარმოებებიდან, რომელნიც ტრესტში შედიან, სრულად მუშაობდენ მხოლოდ 3 კომინტერნის სახელობის ფაბრიკა და საპნის ქარხანა. ბამბის ფაბრიკა ნედლი მასალის უქონლობის გამო მხოლოდ 4 დღე მუშაობდა; ზეთის გამომხდელი ქარხანა მოტორების რემონტისა და ნედლი მასალის უქონლობის გამო მუშაობდა მხოლოდ 12 დღე. ტრესტის ყველა წარმოებებში სამმართველოსთან ერთად ითვლებოდა 113 მუშა და 22 მოსამსახურე.

მაისის განმავლობაში წარმოებებისათვის შეძენილია შემდეგი ნედლი მასალა: ქონი 78 ფუთი, კოკოსის ზეთი 385 ფ., იაპონური ლობიოს თესლი 980 ფ. ტრესტის სამმართველო მოლაპარაკებას აწარმოებს ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატთან ბამბის შესყიდვის შესახებ. წარმოებები საკმარისად ვერ არიან უზრუნველყოფილი ნედლი მასალით; მაგალითად საპნის ქარხანა უზრუნველყოფილია 4 თვით, საფეიქრო წარმოებები და ზეთის გამომხდელი ქარხანა—1 ნახ. თვით.

საანგარიშო თვის განმავლობაში დახარჯულია ნედლი მასალა: ბამბა 218 ფ., ბამბის თესლი 2383 ფ., იაპონური ლობიოს თესლი 980 ფ., ტეხნიკური ქონი 512 ფ., ავსტრიული ქონი 64 ნახ. ფ., ბამბის ზეთი 2 ფ., კანიფოლი 23 ნახ. ფ., სუროგატი 636 ფ., მზესუმზირას ზეთი 437 ნახ. ფ., იაპონური ლობიოს ზეთი 227 ნახ. ფ., მარილი 132 ფ. და კაუსტიური სოდა 112 ნახ. ფ.

განაღდებულია საფეიქრო წარმოების ფაბრიკატები 9.300 მილ. მანეთის, ზეთის გამომხდელ ქარხნის პროდუქტები 1.150 მილ. მან., საპნის წარმოების პროდუქტები 17,750 მილ. მან. იაპონური ლობიოს, ბამბის და სხვა მცენარეულობის ზეთი, რომელსაც წარმოებები ამზადებენ, მიდის განსაკუთრებით საპნის სახარშავად.

საფეიქრო წარმოების ფაბრიკატებს ყიდულობენ განსაკუთრებით კერძო პირები. ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოს მიეცა საპონი 1.380 ფუთი. საპონის დანარჩენი რაოდენობა გაიყიდა კერძო პირებზე: ტუალეტის საპონი კი მიეცა კერძო პირებს და დაწესებულებებს.

საბრუნავი თანხების ნაკლებობა, როგორც სხვა ტრესტებშიაც, აქაც ხელს უშლის ტრესტს ნაყოფიერობის ფართოდ [illegible]. მუშაობის შემდეგი ნაყოფიერება დამოკიდებული იქნება სამრეწველო კრედიტიდან და აგრეთვე ბამბის მომავალ მოსავლისაგან.

სრულიად რუსეთის საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილება.

მარტის ბოლო რიცხვებიდან თბილისში მუშაობს სრულიად რუსეთის საფეიქრო სინდიკატის განყოფილება, რომლის მიზანია ფართლეულობის გასაღება საქართველოსა და სომხეთში მინიმალურ ფასებით, რაც ზედმეტად ხდის სახელმწიფო ორგანოებისათვის, კოოპერატივებისათვის და კერძო პირებისათვის მოსკოვში გამგზავრებას ფართლეულობის შესაძენად. ამას გარდა სინდიკატს მიზნად აქვს დასახული სავაჭრო დამოკიდებულებათა გაძლიერება აღმოსავლეთთან, კერძოდ, სპარსეთთან, სადაც უკვე გახსნილია განყოფილებები რეშტსა და თავრიზში და ახლო მომავალში განზრახულია აგრეთვე ასეთივე განყოფილებების გახსნა სპარსეთის სხვა მსხვილ პუნქტებში.

თბილისის განყოფილების გახსნის დროიდან დღევანდლამდე მის განკარგულებაში მოვიდა 28 ვაგონი ფართლეულობა, რომლის ნაწილი გაყიდულია აქვე (6 ვაგონი), ნაწილი კი გაგზავნილია სპარსეთსა და სომხეთში.

განყოფილების არსებობის დროიდან გაყიდულია: სახელმწიფო ორგანოებსა და კოოპერატივებზე 75 პროც., კერძო ფირმებსა და პირებზე 25 პროც.

უკანასკნელი დროის განმავლობაში განყოფილებამ მთელი რიგი მსხვილი ხელშეკრულებებისა დასდო სახელმწიფო ორგანოებთან და კოოპერატივებთან, მაგალითად: ცეკავშირთან, ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოსთან, საზოგადოება „მატყლთან“ და სხვა. განყოფილების ბრუნვა 24 მაისიდან 18 ივნისამდე გამოიხატება 200 ათასამდე ჩერვონცების მანეთებში.

საქართველო მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

ს. მ. უ. ს. განყოფილებები.

ს. მ. უ. ს. ყველა განყოფილებებში, რომელნიც მონაწილეობენ გამოფენაზე, სწარმოებს ექსპონატების დასამზადებლად გაცხოველებული მუშაობა, რომელიც პირველ ივლისისათვის დასრულდება.

თამბაქოს ტრესტმა უკვე დაამზადა თავის ექსპონატების სამი მესამედი. ამ ჟამად სწარმოებს და მოკლე ხანში დასრულდება პლაკატების დამზადება თამბაქოს ნიმუშებითა და ნაწარმოებით.

სახელმწიფო ღვინის ტრესტი, სამთო განყოფილება და ტყავეულობის მთავარი წარმოება უკვე ამთავრებს ექსპონატების დამზადებას. ამ ჟამად ამ დარგებისთვის კეთდება დიაგრამები ქარტები და სხვა.

სალითონო განყოფილება აგზავნის მოსკოვში ყურძნის საწნეხებს, რომელნიც დამზადებული არიან სახელმწიფო განყოფილებებში, „ვულმორელი“-ს ხელსაწყოებს, წითელი სპილენძის დამუშავებულ ნიმუშებს, აგრეთვე თუჯის იარაღებისა და ნიმუშებს, რომელნიც გაკეთებულია ახლად ამუშავებულ ჩათახის თუჯის ჩამომსხმელ ქარხანაში. გამოფენაზე მონაწილეობს აგრეთვე მშენებლობის განყოფილება, რომელიც ჰგზავნის მოსკოვში კრამიტის, ადგილობრივი თიხის ჭურჭლებისა და სხვა იარაღების ნიმუშებს, დამზადებულნი ქსანის სახელმწიფო ქარხანაში, როგორც ნათქვამი იყო, ს. მ. უ. ს. ყველა ექსპონატი გამოფენილი იქნება სპეციალურად მისთვის მიკუთვნილ ალაგს საქართველოს ცალკე

საბჭოთა აჭარისტანში

საბჭოთა ორგანოების ღონისძიებანი მაისის განმავლობაში

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

ძირითადი ამოცანები.

აღნიშნული თვის განმავლობაში აჭარისტანის საბჭოთა ხელისუფლების მუშაობა მიმდინარეობდა შემდეგი ძირითადი ამოცანების გადასაწყვეტად; სოფლის ფუხარა ხალხის დაახლოება ქალაქის პროლეტარიატთან, ბანდიტიზმის საბოლოო ლიკვიდაცია, შემოქმედებითი აღმშენებლობის გაძლიერება სამეურნეო ფრონტზე, საბჭოთა ორგანოების გაჯანსაღება და სახელმწიფო აპარატის გამარტივება. ფინანსიური საკითხების მოგვარება, აგრარული რეფორმის დასრულება, ოლქის ადმინისტრატიული ორგანოების დაახლოება ფუხარა ხალხთან, სკოლების, სასამართლოების და სხვა საჭირო დაწესებულებათა გამრავლება აჭარისტანში, მშრომელი მასის ჩაბმა საბჭოთა და პარტიულ საქმიანობაში და სხვა მრავალი.

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლების მუშაობა ზემოჩამოთვლილ საკითხების მოგვარების საქმეში, ნაყოფიერად სწარმოებდა; ამ გარემოებას ხელს უწყობდა საბჭოთა ადგილობრივი ორგანოების ნაყოფიერი მოღვაწეობა და ფუხარა ხალხის აქტიური დახმარება.

გარდა ამ ძირითად საკითხებისა, აჭარისტანის საბჭოთა ხელისუფლებას უხდება მრავალ ყოველდღიურ საკითხების გადაჭრა. რაც კოლოსალურ დროს და საქმიანობას მოითხოვდა.

ბრძოლა სისხლის აღების ადათის წინააღმდეგ.

სამწუხაროდ, აჭარისტანში გასაბჭოების შემდეგაც დარჩა სისხლის აღების ადათი. ჯერ კიდევ საბჭოთა 1 ყრილობამ გამოიტანა დადგენილება ამ სამარცხვინო ნაშთის ძირიანბუდიანად ამოფხვრის შესახებ; მიუხედავად ამისა, ამ ადათის ლიკვიდაცია დღემდე ვერ მოხერხდა.

თანახმად აჭარისტანის საბჭოთა 8 ყრილობის დადგენილებისა, აჭარისტანის ცენტრალმასკომმა შეიმუშავა სათანადო სავალდებულო დადგენილება ძველი ცხოვრების ამ სამარცხვინო ნაშთის წინააღმდეგ პრაქტიკულ ღონისძიებათა მისაღებად.

შედგენილ იქნა სისხლის აღების ადათის წინააღმდეგ მებრძოლი ცენტრალური კომისია და ქვე-კომისიები ადგილებზე, რომელთაც დაევალათ თვალყურის დევნება სისხლის აღების ნიადაგზე დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემათ.

უნდა აღინიშნოს, რომ აჭარისტანის ფუხარა ხალხი, დიდის თანაგრძნობით შეეგება საბჭოთა ხელისუფლების ამგვარ ნაბიჯს და სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კომისიები შესძლებენ თავიანთი დანიშნულების შესრულებას.

ამ ჟამად ოლქში დაგზავნილია ინსტრუქტორები, რომელთაც დავალებული აქვთ საბჭოთა ადგილობრივი ორგანოებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა ამ ადათთან საბრძოლველად.

სავალდებულო დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ საგრძნობლად იკლო სისხლის აღების შემთხვევებმა, რაც იმედს იძლევა, რომ სულ ახლო მომავალში აჭარისტანის საბჭოთა ხელისუფლება შესძლებს ამ პატრიარქალურ—ტრადიციული ნაშთის საბოლოო ამოფხვრას.

ბანდიტიზმის ლიკვიდაცია

ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში, ამ უკანასკნელი ხნის განმავლობაში, აჭარისტანის საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი გამარჯვება მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა გვარ ბოროტმოქმედებასთან ბრძოლაში აჭარისტანის საგანგებო კომისიას, შინაგან საქმეთა კომისარიატს და ბანდიტიზმთან მებრძოლ სამეულს, დაუფასებელ სამსახურს უწევდა ფუხარა ხალხი.

მშრომელ გლეხობასთან მჭიდრო კავშირის წყალობით, აჭარისტანის საგანგებო კომისიამ შესძლო, გამოჩენილი ბანდიტების ლიკვიდაცია. საქართველოში ცნობილი ყაჩაღები—მანწკავა, სირაძე, ანდღულაძე, მეგრელიძე, ნიკოლაიშვილი და სხვები, რომლებიც ახალ თავდასხმისათვის ემზადებოდნენ ბათომში—დახოცეს რევოლიუციონური წეს-რიგის დამცველმა ორგანოებმა, ხოლო ნაწილი ბანდიტებისა შეიპყრეს.

ამ რიგად, აჭარისტანის საბჭოთა ხელისუფლებამ მთელი ამიერ-კავკასია გაანთავისუფლა ცნობილ თავდამსხმელ ყაჩაღებისაგან.

ქურდ-ბაცაცობა ხომ თითქმის მოისპო აჭარისტანში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ქურდობას, თავდასხმას, ცარცვა გლეჯას ეპიდემიური ხასიათი ჰქონდა.

ფუხარა ხალხი იძულებული იყო თოფ-იარაღით დაეცვა საკუთარი სარჩო-საბადებელი ქურდ ყაჩაღებისაგან.

ხულოში ერთმა გლეხმა პირდაპირ განაცხადა: „გასაბჭოებამდე და განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანამდე, ჩვენ დღე და ღამ ქურდებისაგან მოსვენება არ გვქონდა. ეხლა კი, ჩვენი ფუხრული მთავრობის წყალობით, იშვიათად თუ სადმე ქურდობას ადგილი ექნებაო.

საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო არა მარტო შინაური ბანდიტების ლიკვიდაცია, არამედ მან შეიპყრო მთელს ოსმალეთში სახელგანთქმული ყაჩაღები, რომლებიც გადმოვიდნენ საზღვარს და აჭარისტანში სცადეს ბედი. ამ ყაჩაღების შეპყრობისათვის აჭარისტანის საბჭოთა მთავრობამ დიდი მადლობა მიიღო ოსმალეთის მთავრობისაგან. ეს ყაჩაღები წინედ შიშის ზარს სცემდენ მთელს ოსმალეთს.

მათ შეპყრობას დიდი აღფრთოვანებით შეეგება ჩვენი მოსაზღვრე ოსმალეთის მოსახლეობა.

საბჭოთა მუშურ-გლეხური მილიცია წარმატებით მუშაობს. იშვიათია ისეთი შემთხვევა, როდესაც ბოროტმოქმედება აღმოუჩენელი რჩება.

აი ციფრებიც: მაისის განმავლობაში ქალაქის ფარგლებში ადგილი ჰქონდა შემდეგ ბოროტ-მოქმედებათ:

ქურდობა—24, აღმოჩენილია—20
დაჭრა — 1, აღმოჩენილია —
ოლქის ფარგლებში:
გაცარცვა 4, აღმოჩენილია 3.
თავდასხმა 1, „ 1.
დაჭრა 4, „ 4.

ოლქის და ქალაქის სისხლის სამართლის მილიცია წარმატებით აწარმოებს ბოროტ მოქმედებასთან ბრძოლას; მის მიერ აღნუსხულია ბოროტ-მოქმედებათა შემდეგი შემთხვევები:

ქურდობა	23	აღმოჩენილია	15.
მკვლელობა	1	„	1.
გაძარცვა	1	„	1.
მითვისება	1	„	1.
ქრთამის აღება	1	„	1.

გამასწორებელ სახლში, აღნიშნული მილიციის მიერ მოთავსებულია 21 ბოროტმოქმედი და გატარებულია მილიციის საქმეებში—54.

ბოროტმოქმედებათა შემთხვევებს უმთავრესად ქალაქის ფარგლებში აქვს ადგილი. ოლქში ამჟამად იშვიათია ქურდობის, თავდასხმის, ან მკვლელობის შემთხვევები.

სასოფლო-სამეურნეო მუშაობა.

სამიწადმოქმედო უწყება ენერგიულ ზომებს ღებულობს აჭარისტანის სასოფლო-მეურნეობის გასაუმჯობესებლად. ამ მხრით აღსანიშნავია აღნიშნული უწყების მიერ წარმოებული სამელიორაციო მუშაობა.

სოფელ ბარცხანაში გაყვანილ იქნა საშრობი არხი—სიგრძით 200 საჟენი. ბარცხანის რაიონში გაყვანილ იქნა 3 შარა-გზა. სოფ. კაპრიშუმში გაყვანილ იქნა ერთი სასოფლო გზა. სწარმოებს მუშაობა აჭარისტანის დანარჩენ პუნქტებში, საჭიროებისამებრ, გზების გასაყვანად, ხიდების ასაგებად და არხების გასათხარათ.

სერიოზული ყურადღება აქვს მიქცეული სუბტროპიკული და საერთოდ, მცენარეთა მოშენების კულტივიზაციას.

საბჭოთა მამულში № 2 მოწყობილია საცდელი მინდვრები ნიადაგის ხელოვნური სასუქით განოყიერების მიზნით.

მიწადმოქმედების კომისარიატმა უცხოეთიდან მიიღო „ორდონის" სისტემის ტრაქტორები, რომლითაც ამ ჟამად მუშაობა უკვე სწარმოებს. ამავე უწყებამ შეიძინა სათეს-სათიბი სასოფლო-სამეურნეო მანქანები და თესლეულობა.

საბჭოთა მამულებში დაითესა ოსმალური ჯიშის საუკეთესო თამბაქო.

ფუხარა გლეხებს დაურიგდა აბრეშუმის ჭიის თესლი და მიეცათ სათანადო რჩევა-დარიგება აბრეშუმის ჭიის კულტურისათვის.

კომისარიატმა აჭარისტანის ოთხ პუნქტში მოაწყო საცდელ-საჩვენებელი სკა, მეფუტკრეობის განვითარების მიზნით.

მიწად-მოქმედების კომისარიატის მიწათა და ჰიდროტეხნიკურმა სექციამ დაასრულა უმიწაწყლო ფუხარა გლეხთა შორის მიწების განაწილება.

ჩამორთმეულია სახნავ-სათესი მიწები მაზრებში რაოდენობით:

ბათომის და აჭარის წყალის მაზრა—1.183 დესიტ. ზემო-აჭარის წყალის მაზრა—48 დესიტ. აღრიცხვაზე აღებული საძოვარი მინდვრები—3.015 დესიტ. ტყე—2.025 დესიტ. სულ—6 271 დესიატინა.

ბათომის მაზრაში მიწით დაკმაყოფილებულია—389 კომლი გლეხი აჭარის წყლის მაზრაში—260 კომლი გლეხი. სულ 647.

კომისარიატმა დაასრულა კულტურული ნაკვეთების იჯარით გაცემა; სულ გაცემულია—182 ნაკვეთი.

პლანტაციებში ჩაის კრეფა გრძელდება:

1 საბჭოთა მამულში შეკრებილია—1.600 გირ. ნედლი ჩაი.

4 საბჭოთა მამულში—400 გირ.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში კომისარიატის შემოსავალი უდრიდა: ა) საფონდო საეზოვე მიწებისგან—780.975.000 მან. ბ) კულტურული მამულებისაგან—208.875.000 მ. გ) პროცენტები მეთევზეობისგან—115.316.000 მ. სულ—1.604.566 000 მ.

კომისარიატის მიერ მიღებულია ენერგიული ზომები ტყეების დასაცავად.

ასეთია მოკლეთ მიწად-მოქმედების უწყების მუშაობა მაისის განმავლობაში.

ქ. ბათუმი, 28 ივნისი.

მარადიდელი.

პავილიონში, სადაც თავმოყრილი იქნება საქართველოს ყველა ექსპონატები.

აჭარაში.

აჭარის სამეურნეო ორგანოებმა უკვე დაამზადეს სახილე და დეკორატიულ მცენარეთა ვრცელი კოლლექცია. ამ ჟამად მცენარეებმა სანაყოფო ყვავილი უკვე დაჭყარეს და გამოფენის დროს ისინი უკვე შემოსილი იქნებიან ხილით. განსაკუთრებული ინტერესის აღმძვრელი იქნებიან ციტრუსები. ბათომის ბოტანიკური ბაღი გზავნის ბამბუკის და სხვა ტექნიკურ მცენარეთა ვრცელ კოლლექციას. ჩაქვის სახ. მეურნეობა აწყობს ჩაის პლანტაციას, რომელიც დაასურათებს ჩაის წარმოებას და თვით ჩაის, როგორც საქონელს, ზეთის დასამზადებელი ქიმიური ქარხანა წარმოდგენილი იქნება ზეთით და კამფარით.

ბამბუკის ქარხანა აწყობს თავის პავილიონს, სადაც მოთავსებული იქნება საოჯახო ავეჯი და დგამები, მანდარინის, ბამბუკის და სხვა ტექნიკურ მცენარეებისთვის მოწყობილი იქნება პლანტაციები თავ-თავის ნიადაგზე.

ხე ტყის და კულტურის ჯიშები, რომელთა აკლიმატიზაცია უკვე მოხდა ჩაქვში, ნაჩვენები იქნება ექსპონატებით, რომელნიც გვისურათებენ ამ მცენარეთა არა ჩვეულებრივ ზრდას და სიდიადეს. ბათომის კომუნალურმა მეურნეობამ მოამზადა ქალაქის ბაღებიდან და ორანჟერეებიდან 500 მეტი მცენარე, საქართველოს განყოფილების მოსართველად და შესამკობად.

მანდარინის ბაღები.

მანდარინის მეურნეობაში უკვე დასრულებულია მოსამზადებელი მუშაობა ე. ი. ხეების გასხვლა და ტანის ჩამოყალიბება და კირით შელესვა. გარდა ამისა დაბარულია და გა- [illegible] 25 დესეტინა—მანდარინების და ლიმონის პლანტაციების უმრავლესობა. მცირე ნაწილის განოყიერება მდ. ჩაქვის ხიდის დაზიანების გამო ვერ მოხერხდა.

ს. ს. ს. რ. სახალხო მამულებში

ჩაქვის სახალხო მამული.

ჩაქვის სახალხო მამულში უმთავრეს კულტურას წარმოადგენს სუბტროპიკული ძვირფასი მცენარენი, რომელთაგან სივრცით პირველი ადგილი უკავია ჩაის პლანტაციას, შემდეგ მანდარინის და ფორთოხლის ბაღებს და ბამბუკის სანერგეებს. მამულში არის მშვენიერად მოწყობილი ჩაის დასამუშავებელი ქარხანა, რომელიც აკმაყოფილებს თვით—მამულის საჭიროებას გარდა, ახლო მდებარე სოფლების მოთხოვნილებასაც. იქვე არის მოწყობილი ერთი ჰიდრო ელექტრონული სადგური მამულის საჭიროებისათვის და ქარხანა ბამბუკის ავეჯის დასამზადებლად. ამ ძვირფას მამულის წარმატებას აბრკოლებს ყველა ჩვენი მამულების სნეულება—ქრონიკული უსახსრობა ხელფასის ნატურით გასტუმრება. მამულში მუშაობის გაცხოველებას ხელს არ უწყობს, რადგან მუშები ნატურალურ ხელფასს ნაკლებ ხალისით ეტანებიან. მიუხედავად ამ არა-ხელსაყრელ პირობებისა, მამულმა მაინც ჩინებულად შეასრულა მიმდინარე სეზონის სამუშაო. ცალ-ცალკე მეურნეობაში შემდეგი სასეზონო მუშაობა სწარმოებდა

ჩაის პლანტაციები.

გასაკეთებელ საქმეთა 100 პროცენტი თითქმის შესრულებულია: გაისხლა 502 დესიატინის სივრცის პლანტაცია, დაიხნა 324 დესიტ. და იბარა 148 დესიტ. მოხდა ტერასის კაპიტალური რემონტი 60 დესიტ. სივრცეზე; ამათ რიცხვში დიდათ შეაკეთეს პლანტაცია ძამულ „ოტრადნოე"-ში (პოპოვის ეულია) ამას გარდა მამულებში სწარმოებს სასწრაფოდ გზებისა და ხიდების შეკეთება. ყველა აღნიშნულ მუშაობათა შესრულება—თავდებია იმისი, რომ წრეულს მამული მოგვცემს დიდ მოსავალს, ზამთრის და გაზაფხულის ტაროსი—სავსებით ხელს უწყობენ ჩაის კარგ მოსავალს.

ჩაის ქარხანა.

მაისის განმავლობაში ჩაის ქარხანაში უმთავრესი მუშაობა შეეხებოდა 1922 წლის მოსავლიდან დარჩენილ ჩაის გაწმენდასა და დალაგებას, ხარისხის მიხედვით და ყუთებში ჩაწყობას, უკანასკნელ თვეებში დამზადებული და გატანილია 600 გირ. მეტი დამზადებული ჩაი, აქედან აზ.—კავშირს წაღებული აქვს 1,000 გირ., 2020 გირ. ტფილისის მთლიან მუშ-კოპს, დანარჩენი 3,000 გირ. დამზადებულია ჩაის კერძო მყიდველთა შეკვეთით, შარშანდელი მოსავლის დამზადების შემდეგ დაიწყო მუშაობა შენობის და ინვენტარის მომავალ სამუშაოსა და მოსავლისათვის მოწყობა-მომზადება: სწარმოებს მანქანების გასუფთავება და შეკეთება, სახმობი და სახარისხო ნაწილების რემონტი.

ბამბუკის სანერგეები.

მდ. შვანის-წყალის მიდამოებში [illegible] ბამბუკის სანერგეების შარგვა და გაწმენდა ბალახ ბულახისაგან, სხვა რაიონებში სწარმოებს სანერგეების საექსპლოატაციო მუშაობა. უკანასკნელ თვეებში მოჭრილია 16.000 ბამბუკის ღეროები, რომელიც პირველ ყოვლისა იგზავნება ქარხანაში ოროთქლში გასატარებლად და შემდეგ დასამუშავებლად. აღნიშნულ რაოდენობიდან 1000 საუკეთესო ღეროები შეიძინა კავ. ცალკე არმიის სანიტარულ ნაწილის განყოფილებამ.

ბამბუკის სახელოსნო.

უკანასკნელ თვეებში ოროთქლში გატარდა 14,000 ღერო ბამბუკი. ქრონიკული უსახსრობის გამო სახელოსნოს არ შეუძლია მუშაობის გაფართოება. ამ ჟამად სახელოსნო აწარმოებს ბამბუკის ავეჯის დასამზადებელ მუშაობას უმთავრესად კერძო პირთა შეკვეთით. ამას გარდა სახელოსნო ამზადებს მამულის ინვენტარის შესავსებ იარაღებს, რამოდენიმე ხნის წინად დაიწყო დგამებისა და ავეჯის დამზადება მოსკოვის გამოფენაზე გასაგზავნად.

კოოპერაცია

ცეკავშირის მუშაობა მაისში.

თანახმად დასახული გეგმისა გამგეობა შეუდგა ენერგიულ მუშაობას. მიუხედავად მთელ რიგ დაბრკოლებათა მან შესძლო მაქსიმუმი ენერგიის გამოჩენა და მუშაობის სასურველ ნიადაგზედ დაყენება. მოკლეთ ეს მუშაობა გამოიხატება შემდეგში:

1. სავაჭრო დარგი.

მაისის თვის განმავლობაში შეძენილია შემდეგი საქონელი:

1. „რუსკავტორგის" სალიკვიდაციო კომისიისაგან 31.000 ფ., ფქვილი—48.000 მ.

2. ცენტროკავშირის ამიერ-კავკასიის განყოფილებისაგან მანუფაქტურა—37.000 მ.

3. სხვა და სხვა საქონელი 11.000 მ.

4. ხლებპროდუქტისაგან 2 ვაგონი ლამფის შუშა 2.50 მ. სულ 96.500 მ.

2. საშინაო დამზადება.

მაისის თვის განმავლობაში შეძენილია შემდეგი საქონელი:

1) უპირველესი ადგილი ამ დარგში უკავია აბრეშუმის დამზადების საქმეს, რასაც გამგეობა უდიდეს ყურადღებას აქცევს. ეს მუშაობა გამოიხატება შემდეგში: სწარმოებს მანუფაქტურის გაცემა 1922 წლის დივიდენდის ანგარიშში. გამყიდველებს ეძლევათ ნედლი პარკის თითოეულ ფუთზე 10 არშინი ჩითი ღირებული ხუთი მანეთი ჩერვონცებით. სულ უნდა იქნას გაცემული 240.000 არშინი ჩითი ღირებული 120.000 მ. ჩერვონცებით. ამ ვალის დასაფარავათ უკვე გადადებულია და დაგზავნილია ცეკავშირის მიერ რაიონებში 120.000 არშინი მანუფაქტურა და 45.000 არშინი სახალხო სასურსათო კომისარიატიდგან. რაც შეეხება 1923 წლის პარკის ოპერაციას, თუ ვივარაუდებთ მიმდინარე წლის პარკის მოსავალს 40 000 ფ. ნედლ პარკს, მაშინ საჭირო იქნება 720.000 არშინი სხვა და სხვა მანუფაქტურა. ამ რაოდენობიდგან ცეკავშირის საწყობში უკვე არის 400.000 არშინი; ამასთანავე სხვა და სხვა ორგანიზაციებიდგან იძლევიან წინადადებას საჭირო რაოდენობის მანუფაქტურის გადმოცემის შესახებ. მიმდინარე წლის პარკის ოპერაციების ანგარიშში მანუფაქტურის დარიგება დაიწყება, როდესაც დასრულდება წარსული წლის ანგარიშების გასწორება.

2) მეორე ადგილი დამზადების საქმეში უკავია სიმინდს. აღებული იყო ნებართვა 400.000 ფ. სიმინდის გაზიდვაზე. როგორც ადგილებიდან იტყობინებიან დამზადებულია სამტრედიაში 15.000 ფ., სენაკში 12.000 ფ., ფოთში 3.000 ფ. სავაჭრო განყოფილების აზრით სულ შესაძლებელია გამზადებულ იქნას 200.000 ფ.

3) რაც შეეხება სხვა პროდუქტების დამზადებას, მიღებულია ცენტრო კავშირისაგან დაკვეთა 5.000 ფ. თუშური საშემოდგომო მატყლის დამზადებაზე. დამზადების ანგარიშში უკვე მიღებულია 5.000 მ. დაკვეთა განაწილებულია შემდეგ ნაირათ: გადაეცა წარმოკავშირს 3000 ფ. დამზადება (ავანსი 2000 მ.) სიღნაღის კავშირს 1000 ფ. (ავანსი 1250 მ.) კახეთის კავშირს 1000 ფ. (ავანსი 1250 მ.) გარდა ამისა მატყლის დამზადება დაევალა ახალციხის და დუშეთის განყოფილებებს ჯერ-ჯერობით სიღნაღის კავშირმა დაამზადა 300 ფ. აგრეთვე ნაწილი დამზადებული აქვს კახეთის კავშირს „მწყემს" 300 ფ.

შემუშავებულია და კიდევ მუშავდება ინსტრუქციები სხვადასხვა ნედლეულობის დამზადების შესახებ, როგორიცაა მაგ. ტყავეულობის, ჯაგარის, ცხვრის ტყავის, მატყლის ჩაის და სხვა.

ამ ჟამად მიცემულია დაკვეთა მოცვის ჩაის დამზადებაზე ქუთაისის, ოზურგეთის და ზესტაფონის კავშირებისათვის. რაც შეეხება სავაჭრო დარგის პერსპექტივებს, ამ ახლო მომავალში სწარმოებს მოლაპარაკება შემდეგი ოპერაციების შესახებ:

1. მოლაპარაკება მარილის სინდიკატთან 30.000 ფ. მარილის შეძენის შესახებ.

2. ტყავის სინდიკატთან სხვადასხვა ტყავის ფაბრიკატების შეძენის შესახებ. ეკვივალენტი მიცემული იქნება ნედლი ტყავის სახით, რომელიც უნდა დაამზადოს ცეკავშირმა.

3. რუსეთის სახელმწიფო ბანკთან მანუფაქტურის შესახებ.

4. ცენტროკავშირთან ჩაის დამზადების მანუფაქტურის და სხვა საქონლის შესახებ.

5. „როსგოსტორგთან" მთელი საქონლის ნაშთის შესყიდვის შესახებ მისი ლიკვიდაციის გამო.

რაც შეეხება საქონლის გასავალს, გაცემულია საქონელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში:

1. პირველი საფეხურის კოოპერატივებზე—5.697.83 მ.

2. სარაიონო კავშირებზე და ცეკავშირის განყოფილებებზე—47666.

3. სხვა ორგანიზაც.—15.552,16 მ. სულ 68 903 მ.

ამ ციფრებში არ შედის ბორჯომის წლის განყოფილების ოპერაციები.

უმთავრესი დაბრკოლება, რომელიც ეღობება წინ სავაჭრო განყოფილების მუშაობას, მდგომარეობს პერიფერიული აპარატის (სარაიონო კავშირები, პირველი საფეხურის კოოპერატივები) ფინანსიურ სისუსტეში, რაც თავის მხრივ გამოწვეულია მოსახლეობის მყიდველობითი უნარის შემცირებით.

ელ—რ.

სასოფლო მეურნეობა

აგრარული დამხმარე განყოფილების მოქმედება

(მაისის თვის ანგარიში)

მაისის განმავლობაში საქ. რესპუბლიკის ყველა კუთხეში გროვდებოდა ცნობები და მასალები სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის. ექსპონატების დასამზადებლად მივლინებული იქნენ განყოფილების თანამშრომელნი სამეგრელოსა და გურიაში.

ხონაკის მაზრაში ბანძის მამულიდან გადარგულ იქნა Cirtus trifelita. საცდელ მინდვრებში დამთავრდა სთმინდის თესვა. ხვნა-თესვა და ნიადაგის დამუშავება სწარმოებდა ფორდზონის სისტემის ტრაქტორებით.

ქუთაისის მაზრაში მოხდა აღრიცხვა და გასაქირავებელ ადგილებზე დაგროვება სასოფლო-სამეურნეო იარაღების და მანქანების.

გარეის უბანში დაიხნა და დაიბარა ამერიკული ვაზის და ხეხილის სანერგე ადგილები, აგრეთვე სწარმოებდა ინტენსიური მუშაობა ხსენებული სანერგის მოსაგვარებლად.

აისის თემში გაიხსნა აგრონომიული პუნქტი, თვალნავაძისეულ მამულში დაირგა რამდენიმე ათასი ხეხილი, გაისხლა, ხარდანი დაეგო და სარებზე მიიკრა ვენახის ვაზები.

შორაპნის მაზრაში წაკითხულ იქნა ლექციები მოსკოვის სასოფლო სამეურნეო გამოფენის შესახებ შემდეგ სოფლებში: თერჯოლასა, ჩხარსა, ბოსლევსა, საჩხერესა, ქვალითსა, დილიკაურსა და ძირულაში. გაიმართა საუბარი სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და თესვის სხვა და სხვა სისტემის და აგრეთვე ფილოქსერის მოწინააღმდეგე ვაზისა და დასამყნობ ჯიშების ამორჩევის შესახებ.

თიანეთის მაზრის სოფელ ახმეტაში იმართებოდა ლექციები და საუბარი სოფლის მეურნეობის მავნეებთან ბრძოლის შესახებ (ესწრებოდა დაახლოვებით 35 კაცამდე) თიანეთში, სადაც კრებას დაესწრო 150 კაცი, მოეწყო ლექცია-საუბარი მებოსტნეობასა და მებაღეობაზე. ერწოში —მებაღეობაზე.

თელავის მაზრაში მოეწყო ამერიკულ ლერწამზე მყნობის შესასწავლი კურსები, პრაქტიკულ მეცადინეობასთან ერთად (ზემო ხოდაშენი, რუისი, იყალთო და ოყოშა) მეცადინეობის საგანი იყო: 1) ვენახების მდგომარეობა და მათი ამერიკულ ლერწზე მყნობის საშუალებით აღდგენა, 2) ბაღების და ბოსტნების გაუმჯობესება და მათ მავნეებთან ბრძოლა.

თელავსა, წინანდალსა და ვაჩნაძიანში მეცადინეობის საგანი იყო—ნიადაგის დამუშავება, ვენახების საჩვენებელი გასხლა სწარმოებდა სოფ. ვარდის უბანსა, ბალისხურსა და არტაანში

საქართველოს კურორტები

კურორტი „შოვი".

კურორტ „შოვის" დაარსების ისტორია ფრიად საინტერესოა. ჯერ კიდევ 1913 წელს წამოიჭრა საკითხი ქალ. ონის მახლობლად მდებარე „შოვში" (რაჭის მაზრა), სანატორიუმის მოწყობის შესახებ. ეს ადგილი წარმოადგენს სწორ არეს, რომელიც შემოზღუდულია მთებით, მისი სიმაღლე ზღვის ზედაპირიდან უდრის 4.500 ფუტს. ამ ადგილის გარშემო მდებარეობს ფიჭვის ტყე სივრცით 5-000 დეს.

კურორტ—„შოვის" სანატორიუმის მოწყობის ინიციატივა ეკუთვნის ამხ. შამშე ლეჟავას. 1913 წლის 15 ივნისს მან მოიწვია კრება, რომელზედაც არჩეული იქნა კომისია 4 ექიმის და 2 საზოგადო მოღვაწის შემადგენლობით „შოვის" რაიონის შესასწავლად, სადაც აღმოჩნდა 16 მინერალური წყარო, რომელთაც უეჭველად სამკურნალო მნიშვნელობა აქვთ. მათ შორის გვხდება სოდიანი, რკიიანი, [illegible], [illegible] და სხვ. წყლები. 2 წლის განმავლობაში ამხ. ლეჟავა მუშაობდა ახალ წევრების მოსაწვევად, საშუალებათა შესაგროვებლად თუნდაც წყაროების წინასწარ გამოსარკვევად. მაგრამ მუდმივი დაპატიმრებანი, გადასახლება საშუალებას არ აძლევდა მეფის რეჟიმის დროს განუწყვეტლივ ემუშავა ამ საქმეზე და მუშაობა მხოლოდ ხანგამოშვებით სწარმოებდა.

1917 წელს სრულიად კავკასიის ექიმთა საკურორტო ყრილობაზე წაკითხული იქნა მოხსენება და ყრილობამ აღიარა „შოვი", მსოფლიო მნიშვნელობის კურორტათ, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდება ევროპის ისეთ კურორტებს, როგორიც არის ალანი და დოვიოსი.

კურორტის შესახებ ბევრი დაიწერა თავის დროზე ყველა გაზეთებში, მაგრამ არც მეფის რეჟიმის და არც მენშევიკურ მთავრობის დროს არავითარი ყურადღება არ ქონდა მას მიქცეული. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ შესაძლებელი გახდა ხელახლა მოგვეკიდა ხელი ესოდენ მძიმე საქმისათვის, როგორც კურორტ „შოვის" სანატორიუმის მოწყობაა. მთავრობის თავმჯდომარეები ამხ. ბ. მდივანი ძ კვირკველია სპეციალურად გამგზავრენ „შოვში" 1922 წელს. იმავე წელს ახხ. ლეჟავა და ამხ. ენუქიძე ჩავიდენ იქ, ყველანი აღტაცებულნი იყვენ ამ ადგილით და აღუთქვამდენ ყოველმხრივ დახმარებას კურორტის მოწყობის საქმეში. ამხ. ენუქიძე დაგვპირდა ფინანსიურ დახმარებას მოსკოვიდან, რადგან ყველანი აღიარებდენ ამ კურორტის მსოფლიო მნიშვნელობას.

ამ ჟამად ადგილობრივ ტრანსპორტის განყოფილება შეუდგა ოსეთის—სამხედრო გზის შეკეთებას. ეს გზა, რომელიც აერთებს ჩრდილო კავკასიას დასავლეთ საქართველოსთან, ადიდებს კურორტ „შოვის" მნიშვნელობას მთელი მთის რესპუბლიკის და ამიერ-კავკასიისათვის. ამ ჟამად სწარმოებს მხოლოდ საორგანიზაციო მუშაობა. მაისში პასუხისმგებელ მუშაკთა კრებაზე არჩეული იქნა განსაკუთრებული კომისია ამხ. შ. ლეჟავას (თავმჯდომარეთ), მ. ტოროშელიძის, ბ. კიკალეიშვილის, ფ. წულუკიძის შემადგენლობით. გარდა ამისა ივნისში არჩეულ იქნა სამუშაოების მწარმოებელი კომიტეტი საექიმო და ტეხნიკურ ძალებისაგან, რომელიც აწარმოებს მუშაობას საკურორტო სამმართველოსთან კონტაქტში სანატორიუმის მოწყობის იდეის პრაქტიკულად განსახორციელებლად. პირველ რიგში მიღებულია ზომები საშუალებათა გამოსანახავათ, რისთვისაც მთავრობის ნებართვით მთელ რესპუბლიკაში წესდება გადასახადები სავაჭრო გარიგებებზე, ლოტოზე და სხვა. შემდეგ განზრახულია „შოვში" მოგზაურობა ადგილის დაწვრილებით გამოსარკვევად და ყველა წყაროების ანალიზის მოსახდენად, საშუალებათა მიხედვით, პირველ რიგში მოეწყობა წყაროების კაპტაჟი, შენობები და სხვა.

დასკვნაში ნებას ვაძლევთ ჩვენ თავს გამოვსთქვათ რწმენა, რომ კურორტ „შოვის" მოწყობის ინციატივა გაცხოველებულ გამოხმაურებას ჰპოვებს მცხოვრებთა ფართო წრეებში და მთავრობაც სათანადო დახმარებას გაუწევს მას. ის რის გაკეთებაც არ შეიძლებოდა მეფის რეჟიმის დროს, როდესაც ამ გვარ ინციატივას ძირშივე ახშობდენ, სავსებით შესაძლებელია განხორციელდეს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს.

მ. ტ.

წითელ ჯარში

ქართულ ჯარში დეზერტირობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ქართული წითელი ჯარი მოწოდებულია რევოლიუციონური საქართველოს დასაცავათ.

ჩვენს წითელ ჯარს წინ უძღვის დიადი იდეია. საბჭოთა წყობილების დაცვა. საბჭოთა წყობილება კი ეს მუშების და ღარიბი გლეხკაცობის მართვა-გამგეობაა: წითელი არმიელი კი იმავე მუშებიდან და გლეხებიდანაა გამოსული. წითელი არმიელებისაგან დღევანდელი ხელისუფლების დაცვა, ეს თავის დაცვაა.

ვინც ცდილობს ჯარის დაშლას, ვინც არ ებრძვის დეზერტირობას, ის პირველი მტერია დღევანდელი ხელისუფლების. თუ არ არის რევოლიუციონურათ მოაზროვნე ჯარი არ იქნება საბჭოთა ხელისუფლებაც.

ჩვენს საბჭოებს ყავს მრავალი მტრები, როგორც შინაურ ისე გარეშე.

მათ სურთ დამონავება და დაპყრობა ჩვენი სახელმწიფოსი, რათა ჩვენს ხარჯზე თავიანთი მემამულენი და მუქთახორა კაპიტალისტები გაამდიდრონ და გააძლიერონ. ჩვენ მათი თავდასხმისაგან თავს ვიცავთ. როდესაც სხვა სახელმწიფოებშიაც, როგორიცაა გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი და სხვა შეძლებენ იქაური მუშები ძალა-უფლების ხელში აღებას, მაშინ, რა თქმა უნდა ჩვენ ჯარი არ დაგვჭირდება და საჭიროც არ არის, რადგან ყველა მუშის ინტერესი ინგლისელია ის თუ გერმანელი ერთია და არც ერთს ერთი მეორეზე თავზე დასახსმელი არა გვაქვს. ეს დრო შორს არაა მაგრამ მანამდის კი ჩვენ ჩვენი მუშური რიგები მტკიცეთ უნდა დავირაზმოთ წითელი ჯარის სახით, და ეს შეიძლებოდა მაშინ როდესაც ჯარში არ ექნება ადგილი დეზერტირობას. დეზერტირობა ჯარს შლის და ჯარის დაშლა კი სახელმწიფოს. ამის შემდეგ გასაგებია რომ ჩვენს ქართულს ჯარში დეზერტირობა უნდა აღიკვეთოს. დეზერტირობა ეს პირველი ხარისხის კონტრ რევოლიუციონერობაა.

არც ერთი დეზერტირი! აი ჩვენი ლოზუნგი. წითელ არმიელი უფროსის უნებართვოთ ერთი დღითაც რომ გაიპაროს, ის უნდა დაისაჯოს, ის ქართული დივიზიის სამხედრო ტრიბუნალს უნდა გადაეცეს.

დეზერტირს ყველა ამხანაგებმა ზიზღით და გულის წყრომით უნდა შეხედოს, როგორც ქართული წითელი ჯარის სახელის გამტეხს. სოფლებში კი, სოფლის მილიციამ და ხალხმა დეზერტირი უნდა დაიჭირონ. ამ დღეებში დედამ სახლში მისული შვილი საჩქაროთ ლეგიონის თავს წარმოუდგინა. ერთი სიტყვით დეზერტირმა ვერსად გასაქანი ვერ უნდა იპოვოს. ამ მხრივ უთუოთ მთავარი მნიშვნელობა აქვს შეგნებას, წითელ არმიელის გათვითცნობიერებას. ამ საქმის გაკეთება ნაწილის მეთაურების და პოლიტ. მოუშავეების მოვალეობას შეადგენს.

იმ ნაწილებში, რომელშიც ადგილი ექნება დეზერტირობას არამც თუ დამნაშავე უნდა დაისაჯოს, არამედ მეთაურიც. ასეთი ზომები და სრული ერთგულება, სიფხიზლე, გამჭრიახობა და ინიციატივა დეზერტირობას საქმებით აღკვეთავს და ჩვენ გვიყოლება შეგნებული, გათვითცნობიერებული და ყველა მუშისათვის და გლეხისათვის საყვარელი ჯარი, რომლის დანახვა ღარიბთ და ღატაკთ სიამოვნებას მოგვრის, მდიდრებს, მემამულეებს, და ჩინოვნიკებს კი—უსიამოვნებას.

თ. ჟღენტი.

პროფკავშირებში

მკერვალთა კავშირში.

ამხ. კამოს სახელობის არტელი.

მკერვალთა კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა: მოახდინოს ამხ. კამოს სახელობის არტელში წევრთა გაწმენდა, გაუკეთოს რევიზია არტელის კასას და წინადადება მისცეს მას, რომ თავისი მუშაობა აწარმოოს კომუნალურ საფუძველზე გამომუშავებულ წესდების მიხედვით.

დახმარება უმუშევართ.

კავშირმა მაისის განმავლობაში დახმარება გაუწია 15 უმუშევარ წევრს კავშირთან არსებულ უმუშევართა ფონდიდან.

განათლების მუშაკთა კავშირში.

მეცნიერ მუშაკთა წესდების პროექტი.

განათლების მუშაკთა კავშირის პრეზიდიუმმა დაამტკიცა მეცნიერ მუშაკთა სექციის მუშაობის წესდების პროექტი.

დასასვენებელ სახლებში.

მიმდინარე ზაფხულს განათლების მუშაკთა კავშირის წევრთათვის დასასვენებელი სახლები ეთმობათ წაღვერში, ბორჯომში და ცემში.

მელითონეთა კავშირში.

წევრთა გაწმენდა.

მელითონეთა კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა: ვინაიდან ბევრი უმუშევარი წევრი არ ემორჩილება კავშირის დადგენილებას, ამ მიზნით მოახდინოს კავშირის წევრთა გაწმენდა.

ტეხნიკ მდივანი ახალციხის განყოფილებისათვის.

პრეზიდიუმმა აუცილებელ საჭიროდ სცნო იყოლიოს ტეხნიკურ სამუშაოზე მდივანი ახალციხის სამაზრო განყოფილებაში.

პროფტეხნიკურ კურსებისათვის.

პრეზიდიუმმა მელითონეთა განყოფილების კოლეგიას ნება დართო პროფტეხნიკურ კურსების საჭიროებისათვის კულტფონდიდან 1 პროც. გადარიცხოს დასახელებულ მიზნით.

აღმშენებლობის კავშირში.

თეატრი-კლუბი.

სამდივნომ დაადგინა; წინადადებით მიმართოს ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის მუშათა კომიტეტს მოაწყოს შაბათობა და კვირეული თეატრ-კლუბების ასაშენებლად და შენობის აშენების დროს დაეხმაროს თავისი ძალებით.

კომუნალურ-მეურნეობის კავშირში

სამკურნალო დახმარება-ბავშვებს.

კომუნალურ მეურნეობის კავშირმა დაადგინა: წინადადება მისცეს ბავშვთა სამეულს მუდმივი სამკურნალო დახმარება გაუწიოს ბავშვთა სახლებს და მისცეს საჭირო მედიკამენტები დამზღვევ კასის საშუალებით.

სატარიფო შეთანხმების პროექტი.

კავშირმა დაამტკიცა სატარიფო შეთანხმების პროექტი, სატარიფო ეკონომიურ განყოფილების მიერ შემუშავებული. პროექტი ეხება მეეზოვეთა ხელფასის საკითხსაც.

ქრონიკა

ქალაქის აღმასკომში

— **ტრამვაის ხაზის გაყვანა.** აღმასკომის კომ. განყ. ამ დღეებში დაასრულებს ფუნიკულიორის მიმართულებით (თავისუფლების მოედნიდან ფუნიკულიორის ქვედა სადგურამდე) ტრამვაის ახალი ხაზის გაყვანას.

— **შენობების გადაცემა.** თამბაქოს ტრესტის გამგეობას გადაეცა განსაკუთრებულ პირობებში თამბაქოს ქარხნების შენობები: „ლევ" და „სლონ".

— **მუშათა სახლების შეკეთება.** წინადადება მიეცა კომ. განყოფილებას მიიღოს დაჩქარებით ზომები და პირველ რიგში შეაკეთოს მუშათა სახლები.

— **ახალი წისქვილები.** კომ. განყოფილებას განზრახვა აქვს მდინარე მტკვარზე მოაწყოს ახალი—წყლიანი ტურბინიანი წისქვილები. ერთი მათგანი დღე-ღამეში დაფქვავს 5,000 ფ. ხორბალს. ხსენებულ წისქვილების აგების ხარჯი გათვალისწინებულია 10,000 მან. ოქროთი.

— **მუშაობის გასაძლიერებლად.** აღასკომის პრეზიდიუმს დაევალა გამოიყენოს პრაქტიკულ მუშაობის გასაძლიერებლად აღმ. ყველა წევრები.

— **ბრძოლა ვენერიულ ხნეულებასთან.** ვინაიდან უკანასკნელ ხანებში ვენერიულ ავადმყოფობამ ეპიდემიური ხასიათი მიიღო, ქალაქის აღმასკომმა მასთან საბრძოლველათ გახსნა საავადმყოფოები პუშკინის ქ. № 10, კახეთის № 2, ხარფუხში—სუმბ. ქ. №13, და ვერაზე—ოლღას ქ. №35, ხსენებულ საავადმყოფოებში მოქალაქეებს სწამლობენ უფასოთ.

განათლების კომისარიატში

— **ლენინის სახელობის პოლიტეხნიკური ინსტიტუტი.** პროფ. გან. მთავარ მმართველობამ დაამტკიცა ლენინის სახელობის პოლიტ. ინსტიტუტის სასოფლო სამეურნეო ფაკ. საერთო მიწად მოქმედების კათედრაზე—დოცენტათ დ. მ. ვილენსკი. ამავე ფაკულტეტის ქიმიის მასწავლებლად—ა. ა. ნახავეტიანი, ფიტოპათოლოგიის და მიკოლოგიის მასწავლებლათ ბოტანიკურ კათედრასთან—ი. ნ. ვორონოვი, ზოოტეხნიის კათედრასთან სამეცნიერო თანამშრომლათ—პ. ხ. პოპანდოპულო, სასოფლო-სამეურნეო ფაკ. სამანქანო და იარაღების დარგში დოცენტათ—კ. მ. ამირაჯიბი.

— **შუამდგომლობა.** სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის განყოფილებამ შუამდგომლობით მიმართა საქ. წითელი ჯვრის საზოგადოებას, რათა დაეთმოს პროვინციის საბავშვო სახლების საჭიროებისათვის 20 პატარა აფთიაქი.

— **ფიზიოლოგიური კაბინეტის ხელსაწყოების შეძენა საზღვარ-გარეთ.** განათლების კომისარიატმა საზღვარ გარეთიდან მიიღო სახ. უნივერსიტეტისათვის ფიზიოლოგიური კაბინეტის ხელსაწყოები.

წითელ ჯვარში.

— **უფასო ამბულატორია მალიარიის წინააღმდეგ.** წითელი ჯვრის საზოგადოებასთან მალიარიით ავადმყოფთათვის მოეწყო უფასო ამბულატორია; ამბულატორიიდან აღნიშნულ სენით ავადმყოფებს მიეცემათ უფასოთ წამლები და საექიმო დახმარება.

— **საერთაშორისო წითელი-ჯვარის საზოგადოებათა კონფერენციაზე.** საქ. წითელი ჯვრის საზოგადოებამ დაადგინა გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი საერთაშორისო წითელი ჯვრის საზოგ წარმომადგენლების კონფერენციაზე, რომელიც შესდგება 28 აგვისტოს ჟენევაში.

გამოცემლობა.

— **მარქსი და პროფესიონალური კავშირები.** გამოვიდა ქართულ ენაზე ნ. აუერბახის შრომა: „მარქსი და პროფესიონალური კავშირები". საქ. კომ. პარტიის.

— **„პროფკავშირები ახალ გზებზე".** გამოვიდა მ. ტომსკის „პროფესიონალური კავშირები ახალ გზებზე".

— **რელიგიის შესახებ.** საქ. კომ. პარტ. ცენტრ. კომ. გამომცემლობამ გამოსცა ი. სტეპანოვის საყურადღებო შრომა: „ფიქრები რელიგიის შესახებ".

სხვა და სხვა.

— **დახმარება ლეჩხუმის დამშეულებს.** საქ. სიმშილობასთან მებრძოლმა კომიტეტმა ლეჩხუმის მაზრის დამშეულებისათვის გადასდო დამატებით 1 მილიარდი მან. სიმინდის შესაძენათ.

— **მისალმება მიწად-მოქმედების კომისარიატს.** ვარციხის სახალხო მამულის მუშა მოსამსახურეების ადგილკომი მოგესალმებათ ინიციატივისათვის, რომლის წყალობითაც მემამულის სასახლე გარდაქმნილია მუშათა სასახლეთ. ვიმედოვნებთ, რომ კომისარიატის ხელმძღვანელნი შემდეგშიაც არ მოგვაკლებენ მზრუნველობას.

ხელოვნება

სახეიმო აქტი 2 რე სახელმწიფო კონსერვატორიაში.

ეს არ იყო აქტი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით—რადგან „აქტი" ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებლის კურს დამთავრებულ მოწაფეთა გამოშვებას გულისხმობს, მეორე სახელმწიფო კონსერვატორია კი ჯერ ახალგაზრდა დაწესებულებაა და თავის მოწაფეთა გამოშვებას ჯერ ვერ მოახერხებს. ეს იყო მხოლოდ კონცერტი, სადაც მეორე კონსერვატორიამ და მისმა დირექციამ და სამხატვრო საბჭომ საზოგადოების სამსჯავროზე წარმოადგინეს თავისი მუშაობის შედეგები და უნდა ითქვას, რომ კონსერვატორიის მუშაობა მეტად სერიოზული და ნაყოფიერი ყოფილა; ამ სასწავლებელს ფართო პერსპექტივები აქვს და ის ინტენსიურად მუშაობს, მიუხედავად მრავალ დაბრკოლებებისა; წარსულ წელთან შედარებით მუსიკალური განათლება კონსერვატორიაში გაფართოვდა, გაიზარდა და სერიოზულ ფორმებში ჩამოყალიბდა; სწავლების მხრივ 2 რე კონსერვატორიამ ფართო პერსპექტივებს მიაღწია. კონსერვატორიის წლიური ანგარიშიდან სჩანს, რომ მოწაფეთა კონტინგენტი 828 კაცამდე ავიდა; იმის გამო, რომ კონსერვატორიაში მუსიკალური განათლების მიღების მსურველთა რიცხვი დიდათ აღმოჩნდა, ამისათვის კონსერვატორიის ადმინისტრაცია იძულებული იყო მოწაფეთა კონტინგენტი გადიდებინა იმ ნორმაზე ზევით, რომელიც განათლების სახალხო კომისარიატის მიერ იყო განსაზღვრული.

მოწაფეთაგან ყველაზე მეტი ქართველებია, სახელდობრ 428 კაცი,—ეს გარემოება კი აიხსნება იმით,

მუშათა ცხოვრება

ქარხანაში

ქარხნის ჰანგები, ქარხნის კონცერტი,
დღეს ახალ ყოფნას ეხმაურება;
წინ მიისწრაფის ელვისოს ფრთებით,
რომ განამტკიცოს მაშვრალთა ნება!..

წინსვლას განაგრძობს უზენაესად,—
ქარხნის გრდემლთან სჩქეფს ძალა ციური,—
იქ იჭედება და ფართოვდება,
შემოქმედების სახე მზიური...

და თავისუფალ აღთქმის მხარეში,
სად ტრფობა ფრთებს შლის სხივთა ფრქვევაში;
სად, შვებით სავსე სიმღერა ისმის,
აღფრთოვანებულ სიმთა ჟღერაში,—

იქ, შრომის შვილთა ტახტი მაგრდება,
დღეს მისგან ელის მსოფლიო შველას;
იქ დანთებული ცეცხლის კოცონი,
ელვის სისწრაფით ედება ყველას!..

და ჩვენს ქარხანას სხივ-მოელვარეს,
უცხოთ შელებილ ნამგალს და ჩაქუჩს,—
ყველა ჩაგრული ჩაიკრავს გულში,
მათდამი ტრფობას და მის სიყვარულს!..

მუშა სიო ხიდისთაველი.

მუშათა უბანში.

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ).

ავლაბარში ყოფილ „მირი“-ს თუთუნის ფაბრიკის ქუჩაზედ იყო ძველ წეს წყობილების დროს ბაღი, სადაც ზაფხულობით, საღამოს, აგრილების დროს, მთელი ამ უბნის მუშები, იკრიბებოდნენ და თავთავიანთ ჭირვარამზედ ბაასობდნენ, ამ ბაღში თვით მპყრობელობის წინააღმდეგ ჩვენს ამხანაგებს არა ერთხელ ჰქონიათ მსჯელობა. ამ დღეებში მე მომიხდა გავლა ხსენებულ უბანში და შევნიშნე, რომ ეს ბაღი დატოვებულია სრულიად უპატრონოდ. აღნიშნულ ბაღში არ მოიპოვება საჯდომი სკამები და შესავალი კარები,—რის გამო ზემო ხსენებულ ფაბრიკის მუშებს არა აქვთ დასასვენებელ ადგილები.

საჭიროა, აღმასკომმა მიიღოს ზომები ბაღის შესაკეთებლად, რათა აქაურ მუშებს მიეცეთ საშუალება თავისუფალი დრო გაატარონ ბაღში და წმინდა ჰაერზე.

მუშკორი გ. მ—შვილი.

მტკვრის წისქვილების მუშათა ცხოვრება.

ხსენებულ წისქვილების მუშებს, რიცხვით დაახლოებით 83-ს, აერთიანებს ერთი ადგილკომი, რომელიც ენერგიულ მუშაობას ეწევა. მუშათა ინტერესების დასაცავად ა. წ. მარტიდგან ვიდრე ივნისამდე ადგილკომის მიერ გარჩეულია 33 საკითხი, პოლიტიკური, კულტურული, შრომის დაცვის და საორგანიზაციო ხასიათისა მოწვეულ საზოგადო კრებებს ყოველთვის ესწრებოდა საშუალოდ 70-მდე მუშა.

კულტურულ დარგში, შეიძლება ითქვას, ბევრი რამეა გაკეთებული: წერა-კითხვის უცოდინარობა დიდი ხანია მოსპობილია, რის შემდეგაც გახსნილია 1-ლი საფეხურის სკოლა; მოწყობილია კარგად კლუბი, სადაც ზემოხსენებულ დროის განმავლობაში წაკითხულა რამოდენიმე ლექცია სანიტარული განათლების შესახებ; არსებობს წრეები: პოლიტიკური, რომელსაც ხელმძღვანელობს 1 ლი საფეხურის სკოლის მასწავლებელი ამხ. ლორიანი, და პროფ-მოძრაობის, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. მელიკატოვი; ორივე წრეებში მუშები ხალისიანად ეპყრობიან მეცადინეობას.

მუშებს სისტემატიურად მოსდით სხვა და სხვა ენებზე 8 ცალი გაზეთი, მიღებულია ყოველგვარი ზომები, მუშებისთვის ხელფასის თავის დროზე დარიგებისთვის. სავსებით დაცულია 8 საათის სამუშაო დრო და კვირაში 42 საათის დასვენება.

უმთავრესი სატკივარი ადგილობრივ მუშებისა არის საბინაო საკითხის მოუგვარებლობა. ამ მხრივ ისინი ცუდ მდგომარეობაში არიან. თუმცა კავშირმა მათთვის აიღო აღრიცხვაზე 4 სახლი, მაგრამ დღემდის მათში არც ერთი მუშა არ ჩასახლებულა, მათგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო.

საჭიროა ამ საქმის დამთავრება და მით მუშების აღნიშნულ ცუდ მდგომარეობიდგან გამოყვანა.

მუშკორი მ. ხე—ძე.

მუშათა კრონიკა

— **შრომის ექსპლოატატორების პასუხისგებაში მიცემა.** თბილისის 1-ლი რაიონის შრომის ინსპექტორმა პასუხისგებაში მისცა შემდეგი მოქალაქეები:

1) **ჩეკოტიხინი დიმიტრი** (ჩერნომორის ქ. № 8), რომელიც თავის სახლში და ადგილ-მამულში ამუშავებდა 1 კაცს, დაუზღვევლათ და სრულიად უმნიშვნელო ხელფასით.

2) **აკოფოვი ერვანდი** (სასადილოს პატრონი, შავი რიგის ქ. № 26), რომელიც არავითარ შრომის კანონს არ იცავდა, თავის ორი მზარეულის მიმართ. მას ვითომდა ჰქონდა მათთან დადებული კოლ. ხელშეკრულება, მაგრამ ასეთი ყალბი და საზარალო აღმოჩნდა მუშებისათვის.

3) **მირიმანოვი ალექსანდრე** (სასადილოს პატრონი, შავი რიგის ქ. № 21), რომელიც ექსპლოატაციას უწევდა ერთ მზარეულს მით, რომ მთელი დღე დაუსვენებლათ ამუშავებდა და ხელფასს სახელმწიფო მინიმუმზე ბევრათ ნაკლებს აძლევდა; ამასთანავე არ ჰყოლია ის დაზღვეული.

4) **მათიაშვილი ლაზარე** (სასადილოს პატრონი მოედნის მოედანი № 13), აგრეთვე ერთი მზარეულის უზომო ექსპლოატაციისთვის.

მუშკორი მ. ხე—ძე

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს

(სამუშაოდან გადაყენება—დათხოვნა)

კითხვა: აქვს თუ არა უფლება სთხოვოს თავის ადმინისტრაციას სამსახურში დაბრუნება იმ მუშა-მოსამსახურემ, რომელიც დროებით გადაყენებულ ან სრულიად დათხოვნილ იქნა თავის სამუშაოდან იმისგამო, რომ მას ედებოდა ბრალი სისხლის სამართლის მოქმედების ჩადენაში?

პასუხი: სამსახურში დაბრუნების უფლება აქვთ მხოლოდ იმ მუშა-მოსამსახურეთ, რომელნიც სასამართლოს მიერ იქნენ სრულიად გამართლებული ან და რომელთა რეაბილიტაცია მოხდა სასამართლომდე.

კითხვა: აქვთ თუ არა უფლება სამსახურში დაბრუნებულ და სასამართლოს მიერ გამართლებულ მუშა-მოსამსახურეთ მოითხოვონ შრომის ხელფასი იმ დროისათვის, რომლის განმავლობაში მათ არ ეძლეოდა ეს უკანასკნელი (ხელფასი)?

პასუხი: არა აქვთ. მათ უბრუნდებათ მხოლოდ სამსახური, სამუშაო და აღნიშნულ დროისათვის არავითარ ჯილდოს არ ღებულობენ.

კითხვა: აქვს თუ არა უფლება ადმინისტრაციას დაითხოვოს სამუშაოდან მუშა-მოსამსახურე უუნარიანობისა გამო.

პასუხი: ადმინისტრაციას ამის უფლება აქვს მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც მუშა-მოსამსახურის ინვალიდობა და შრომის უუნარიანობა (შეუფერებლობა) გამორკვეულ და დადასტურებული იქნება შემფასებელ—საკონფლიქტო კომისიის ან და საექიმო - საკონტროლო კომისიის მიერ.

(იხ. შრ. კან. კოდ. მუხ. 47 განმარტ მუხ. 3—გაზ. „კომუნ.“ № 139; კოდ-შრ. კან. მუხ, 47—შენიშ.—1.)

რომ კონსერვატორია ძველი ფილარმონიიდან წარმოიშვა, რომელიც როგორც თავის ძველ მუშაობაში, ისე შემდეგ განვითარებაშიც ერთ მიზანს ემსახურებოდა: აემაღლებია კულტურული და მუსიკალური დონე ქართველ მასებს შორის. ახალგაზრდა დაწესებულებამ გაადიდა თავისი მუსიკალური ინვენტარი, გააფართოვა საკონცერტო დარბაზი, და კონსერვატორიის როგორც პედაგოგიური, ისე საკონცერტო მოღვაწეობა შეუწყვეტლივ და მეტად ინტენსიურად მიმდინარეობს.

წარსული წლის განმავლობაში მოწყობილი იყო 14 მოწაფეთა საღამო, 10 კამერული კრება, საანგარიშო კონცერტი და საოპერო ვარჯიშობა სახელმწიფო თეატრის სცენაზე.

დაჟინებით ლაპარაკობენ კონსერვატორიების ძირითად რეორგანიზაციის შესახებ. არ ვიცი ეს ხმები რამდენათ შეეფერებიან სინამდვილეს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ თუ ეს რეორგანიზაცია მეორე კონსერვატორიასაც შეეხება, მაშინ, როგორათაც არ უნდა გამოუცვალონ მას სახელი, როგორი ცვლილებებიც არ არ უნდა შეიტანონ მის კონსტრუქციაში, აშკარაა, რომ კონსერვატორიას უფლება უნდა მიეცეს—მისცეს თავის მოწაფეებს ისეთი მუსიკალური განათლება, როგორც ეს უმაღლეს სასწავლებელს შეეფერება, რადგან მასწავლებელთა ისეთი მომზადებული კადრის ყოლა, როგორიც არიან, მაგალითად თეორიული საგნების სერიოზული მცოდნე, კომპოზიტორი არაყიშვილი (რომელიც სდგას კიდეც ამ დარგის სათავეში), ფორტეპიანოს კლასის მასწავლებლები პოლტორაცკაია და ვირსალაძე, ჩიანურისა და ვიოლონის მასწავლებლები პროფესორი ილჩენკო და ცოვიანოვი და სიმღერის კლასის მასწავლებლები ფალკონე და შულგინა,—ამტკიცებს იმას, რომ მეორე კონსერვატორიას შეუძლია მისცეს მოწაფეებს დამთავრებული მუსიკალური განათლება. მისი მუშაობის ნაყოფიერება კი მხოლოდ ამ აზრს ამტკიცებს.

საანგარიშო საღამოს შემსრულებელთაგან აღსანიშნავი არიან: პროფესორ ილჩენკოს ჩიანურის კლასის მცირეწლოვანი მოწაფე ქალი პოგოჟევა (ბერიოს ვარიაციები), აბელიშვილის კლასის (ფორტეპიანო) მოწაფე ქალი პაატაშვილი, რომელმაც სტილიურად და კარგი ტეხნიკით შესრულა მოცარტის კონცერტი c-moll, ფალკონეს კლასის მოწაფე ქალი ნათიშვილი (არია გუნოს ოპერა „სავის დედოფალი“-დან), შულგინას კლასის მოწაფე ვიშნენკო (პოლინას რომანსი ჩაიკოვსკის ოპერა „პიკის ქალი“-დან), ვირსალაძის კლასის (ფორტეპიანო) მოწაფე ქალი ბარათაშვილი, რომელმაც დამთავრებულად შესრულა არენსკის კონცერტის პირველი ნაწილი და პოლტორაცკაიას კლასის (ფორტეპიანო) მოწაფე ქალი კაკალია, რომელმაც სენ-სონის კონცერტის Y-moll-ის მეორე და მესამე ნაწილი შესრულა. არ შემიძლია არ ავღნიშნო მოწაფე ხაჩატუროვის მიერ (სულხანიშვილ-ტომსონის კლასი) ბეტხოვენის სონატის e-moll-ის შესრულების უარყოფითი მხარეები.

სონატა ვერ არის სწორად გადმოცემული, არ არის საკმარისი ტეხნიკა, სტილი, დინამიური დასურათებანი, პედალიზაცია, მოწაფე კი უნიჭო არ უნდა იყოს. ასეთი შესრულება არ შეეფერება კონსერვატორიის მოთხოვნილებებს. მშვენივრად შესრულა ელეცკის არია მოწაფე ბოიარსკიმ, რომელსაც საშუალო ძალის, მაგრამ მეტად მუსიკალური ლირიული ბარიტონი აქვს (პროფესორ რიადნოვის კლასი). მუსიკალურად შესრულა მოწაფე კაპელნიცკიმ (პროფესორ ცოვიანოვის კლასი) ჩაიკოვსკის „როკოკო“-ს ვარიაციები.

მუსიკოსი.

— **კონცერტი.** საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან არსებული შერეული მომღერალთა გუნდი დღეს მართავს კონცერტს პროფკავშირთა ცენტრალურ კლუბის საზაფხულო შენობაში, „სტელლა“-ში, (სოლოლ. ქ.) შესრულებული იქნება ქართულ და რუსულ ენაზე სახალხო და რევოლიუციონური სიმღერები.

— **ს. ფაშალიშვილის საღამო.** ივანობისთვის 30-ს წითელ არმიელთა კლუბის საზაფხულო თეატრში გაიმართება პოეტ ს. ფაშალიშვილის საღამო.

— **დახმარება აკაკი ფალავას სტუდიას.** სახ. კომისართა საბჭომ აკაკი ფალავას სტუდიას დახმარების სახით მისცა 3,500,000 მან. ჩერვონცით.

— **საბავშვო რეპერტუარის დამტკიცება.** სოც აღზრდის მთავარ მართველობის სამხატვრო-სალიტერატურო სექციამ დაამტკიცა საბავშვო რეპერტუარი.

— **პოემა ლეკების ცხოვრებიდან.** ლეკმა მგოსანმა ისკანდერმა დასწერა პოემა „გულნარი“ ლეკების ცხოვრებიდან ლეკურ ენაზე

— **დახმარება მუშა-მსახიობს ბესო მაისურაძეს.** სახ. კომ. საბჭომ მუშა მსახიობს ბესო მაისურაძეს, მის იუბილეს გამო, დახმარების სახით მისცა ნახევარი მილიარდი.

მდგომარეობა რაჭის მაზრაში

რაჭის მაზრაში შიმშილობა დიდი ხანია შეიქნა ქრონიკულ მოვლენად. სახნავათ გამოსადეგი მიწა ცოტაა და მიღებულ მოსავალს, რასაკვირველია არ შეუძლია გამოკვებოს მაზრის მცხოვრებლები. უკანასკნელნი იკვებებიან მიტომ განსაკუთრებით შემოტანილი პურით. პურის შეძენის საშუალებებს რევოლიუციამდე ისინი შოულობდენ გარეთ მუშაობით. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის პირველ ნახევრიდან ყველა შრომის უნარის მქონე მამაკაცი 14-60 წლამდე მიდიოდა გარედ სამუშაოდ დურგლებათ, საალმშენებლო მუშებად, მეკურტნეებად და მეპურეებად, შეხვდებოდით შინაურ მოსამსახურეებათ აფიციანტებათ, მზარეულებათ და წვრილ ვაჭრებათ არა მარტო ყოფილ რუსეთის იმპერიაში, არამედ მის გარეშეც.

მსოფლიო ომმა, რევოლიუციამ და შემდეგ სამოქალაქო ომმა მოუსპეს მათ გარეთ მუშაობის საშუალება და რაჭის თითქმის ყველა მცხოვრებელი შეგროვილი არიან მშობლიურ კერასთან. მათ არ აქვთ მიწა და არც სხვა შემოსავალი ისინი თანდათანობით დგებიან გადაგვარების გზაზე.

აღნიშნული მაზრა მჭიდროთ არის დასახლებული. ძველათ არა ერთხელ გადაჭრით დასმულა საკითხი მისი განტვირთვის შესახებ, რითაც დახმარება უნდა აღმოჩენოდა მუყაით რაჭველებს, მაგრამ შედეგები გადასახლების თითქმის ყოველთვის არა სასურველი იყო.

ამავე დროს რაჭა ძლიერ მდიდარია, როგორც მაღალი ხარისხის ტყით, ისე სამთო-მადნო სიმდიდრით რომელთა დამუშავება მოხსნიდა გადასახლების საკითხს.

რაჭის ტყეებს უკავია დღეს მათი გაჩეხის შემდეგ სივრცე 70—35 ათასი დესიატინა, რომლიდანაც წიწვიანი ითვლება 34040 დესიატინა და ფოთლიანი 36050 დესიატინა. ტყეების სივრცე რაჭას მაზრაში უდრის 5 პროც. მთელი საქართველოს ტყეებისას. რაჭა ამ მხრივ აჭარბებს ყველა მაზრას სათითაოთ; ერთ კვადრატიულ ვერსზე 23 დესიატ. მეტი ტყეებს უკავია.

მაზრის ყველა ტყეები მიქცეულია მდ. რიონის აუზში და უმთავრესი მისი მასივი გაჭიმულია მის ორივე მხარეზე მამისონის უღელ-ტეხილიდან სოფელ ჭრებალომდე 80 ვერსზე.

რიონის ნაპირები ფერდოვანია, და მიუვალი, რატომაც ტყეების ექსპლოატაცია ხშირათ მოუხერხებელია უგზოობის და ტყის ჩამოსატან მანქანების უქონლობის გამო.

რაც შეეხება შენაკადებზე გადაჭიმულ აგარაკებს: შორეულა, ღუხუნი, ჯოჯორი, საკაურა, რიცეულა და სხვა ესენი დიდ ფერდობებს არ წარმოადგენენ ამიტომ ტყის ექსპლოატაცია ამ ადგილებში დიდ ხარჯებს არ გამოიწვევს.

ტყეებში არის: ფიჭვი, ნაძვი, საჯი წიფელი, მუხა, ალვის ხეები.

მაზრის ტყეების გამოკვლევიდან სჩანს, რომ ნორჩების დასამთავრებლათ საჭიროა წიწვნარისთვის, 60 წელი, ფოთლოვნისთვის 40 წელი და ვინაიდან საშვალოდ ერთი დესიატინა იძლევა 50 კუბ. საჟ., წლიური სარგებლობის რაოდენობა იქნება წიწვნარის 14180 კუბ. საჟ. 137000 კუბ. საჟ მთელათ მაზრიდან შეიძლება გამოვიტანოთ წლიურათ 27880 კუბ. საჟ. ან 48.439 ძირი ხე.

ტყეების მასივის ერთი ნაწილი მდ. რიონის ნაპირას ქ. ონის დასავლეთით უფრო ტყიბულს ემხრობა,—მეორე ნაწილი ქ. ონის აღმოსავლეთით—ქუთაისს, ჩრდილოეთით კიდიგორიას.

სამთო-მადნო სიმდიდრე კი შემდეგ ნაირია:

ვერცხლ-ტყვიისა და ტყვიის მადანი სოფ. თხმორის იწის, ქვედის, წედისის, ნადარბაზევის, ურავის, გლოლის, და ღების მახლობლათ.

სპილენძის მადანი მოიპოვება შემდეგ სოფლებში და მათ მახლობლაც: სადმელი, მდინარის სათავის მიდამოებში; ხრითის გორების დასავლეთ ფერდობებში; ჯოჯოს სათიბის მიდამოებში; „მთავარ ანგელოზის“ მონასტრის მახლობლად მდ. ნაწარაულის სათავის მიდამოებში; მდ. სადი წყლის მიდამოებში.

ანტიმონის მადანი მოიპოვება სოფ. უწერის მახლობლათ მდ. რიონის მარჯვენა მხრის მიდამოებში; ლოკორის მთის მიდამოებში და სოფ. გლოლის მახლობლად.

რკინის მადანი სამი ვერსის მანძილზე სოფ. წედისიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთით მდინ. ჯოჯორის მარჯვენა მხრისაკენ. მთა ქვაწითელი ფერდობების ძირში; მდ. ჯოჯორის მიდამოებში; სოფლებ: ღვარის, გოგოლეთის, მალევის თავის მახლობლათ, სადმელის და უწერის აგარაკებში.

დარიშხანის მადანი სოფელ წესის მახლობლათ მდ. რიონის მარჯვენა მხრით და სოფ. ურავის და საკაოს შორის მდებარე მთებში.

გოგირდის კალჩადანი 3 ვერსის მანძილზე ს. ღებიდან; მდ. ჯოჯორის სათავის მიდამოებში, სოფ. თამარის მახლობლათ; მდ. ლუხუთის წყლის დასაწყისში, სოფელ ურავის მახლობლათ.

ქვა-ნახშირის მადანი სოფ. სორის მახლობლათ მდ. სანთარულას ხეობაში.

ნავთი მდ. ხეორის მარჯვენა მხარის მიდამოებში, სოფ. ხეითთან; სოფ. ღების მახლობლათ მდინარე ჩეხოს ხეობაში; სოფ, ხირხონისის და ფუტიეთის მახლობლათ.

შავი ქვა შავრა ნამანევის მიდამოებში.

ყველა ამას მიაქცია ყურადღება გასაბჭოების შემდეგ საქართველოს მთავრობამ, რომელიც რაჭველი ამხანაგების შუამდგომლობით, მისცა რაჭას ჯერ ორთქლის სახერხავი ქარხანა 65 ცხ ძალისა, რომელიც უკვე მუშაობს ნიკორწმინდის აგარაკში. ამ ქარხანამ მოხსნა სახელმწიფოებრივ სასურსათო დახმარებისაგან 1500 სული, რაც მაჩვენებელი შეიქმნა შიმშილობის ლიკვიდაციის შესაძლებლობისა.

მთავარი საქმეა ახლა ჰიდრო ელექტრო სადგურის მოწყობა.

რაჭველები აღფრთოვანებული არიან ამ საქმით, გრძნობდენ ამ სადგურის მნიშვნელობას მხარის განვითარებისათვის და სწამდათ რომ ეს სადგური შეიქნება მაზრის აღდგენის უმთავრეს ფაქტორათ. ისინი სამუშაო ქირის მაგიერ კმაყოფილდებიან მხოლოთ ულუფით. აპრილის თვის დასაწყისში ამ საქმისათვის გაკეთებულია 4 ვერსის მანძილზე გზა-ტკეცილი სამხრეთ—ოსეთის გზიდან ელექტრო-სადგურამდე, შესრულებული იყო 1 აპრილამდე 500 კუბ. საჟ. მიწის სამუშაო, 300 კუბ. საჟ. ქვის სამუშაო, აგებულია ხიდები, აშენებულია მუშა-მოსამსახურეთათვის ბარაკები, დამზადებულია 500 ნაძვის მორი, 15 კუბ. საჟ. ქვა, 5 კუბ. საჟ. ალებასტრი, 15 კუბ. საჟ. სილა, 50 კუბ. საჟ. შეშა და სხვა.

განსაკუთრებული პირობების გამო, შესაძლებელი ხდება სადგურის აგება 8.000 ცხ. ძალ. საჭიროა ამისთვის 400.000 მანეთი. ამასთანავე ამ ჯამში შედის ხარჯები ფართოდ დახლართული განმანაწილებელი მავთულებისათვის არა მარტო ონამდე, არამედ გლოლა—ღებამდე. ჰიდროტეხნიკურის შემდეგი გაძლიერებით, სადგურის ღონე შეიძლება დავიდეს საშვალოთ 10.000 ცხ. ძალ., და წყლის შემნახველის წყალობით შეიძლება დაჭვაროს უფრო მეტი ძალის პიკები.

სამსახურს გაუწევს არა მარტო რაჭის მაზრას, არამედ მთელ რესპუბლიკას. ეს საქმე მისცემს ფართო გასაქანს სატყეო მრეწველობას, ის მოხსნის სახელმწიფო სასურსათო ბიუჯეტიდან რაჭის მაზრის მთელ მცხოვრებლების საჭიროებას და მისცემს ენერგიას მაღაროებს. ეს სადგური მისცემს ელექტრონის ენერგიას სურამის უღელ-ტეხილის რკინის გზას, რომლის მოწყობაზე დიდი ხანია ლაპარაკი.

რაც უფრო ჩქარა აშენდება სადგური, მით უფრო მალე განთავისუფლდება სახელმწიფო სასურსათო ფონდი საჭიროებისაგან—დაკმაყოფილოს მაზრის მცხოვრებლები.

არაჩვეულებრივი ენტუზიაზმი, რომლითაც მცხოვრებლები ხვდებიან სადგურის აშენების საქმეს, დამამტკიცებელია ხალხის ძლიერი ნებისყოფისა, რასაც ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ.

რაჭველი.

პროვინციაში

ქალ. სურამი.

აგარაკი სურამი ახლავე სავსეა საზაფხულოთ ჩამოსულ ხალხით; მრავალია ჯარის ნაწილებიც.

ჩამოსვლისთანავე ჯარის ნაწილებმა დაიჭირეს ადგილობრივ ხელისუფლებასთან მჭიდრო კავშირი—და შეუდგენ კულტურულ მუშაობას; აიღეს საზაფხულო დაუმთავრებელი თეატრი და ორი კვირის განუწყვეტელი მუშაობით დაამთავრეს. შეაკეთეს და დაიწყეს კიდეც შიგ წარმოდგენების მართვა, გასწრეს და გააკეთეს სურამ-ბულაურის შორის სასოფლო გზა, გააკეთეს ურმების სავალი ხიდი, აქვთ განზრახვა ახლო მომავალში ქალაქის მახლობლად ერთ ერთი ბაღი გააკეთონ სასეირნო ალაგათ, სადაც ყოველდღე დაუკრავს ორკესტრი. მათივე წყალობით ქალაქსაც მიეცა საშუალება-სახსარი გააკეთოს დიდი ხნის სანატრელი ქვედა უბნის სასწვრი ხიდი მდინარე სურამულაზე.

ჯარის ნაწილებს აქვთ დიდი სურვილი შეისწავლონ სურამის წარსული ისტორია, კერძოთ სურამის ციხის, სადაც ყოველდღე თითქმის იმართება ექსკურსია და კითხულობენ ლექციას მის გადმოცემაზე, დანიელ ჭონქაძის წიგნის თანახმად.

დასასრულ მინდა ერთი სასიამოვნო მოვლენა ავღნიშნო.

სურამში სხვა ჯარებთან ერთად ჩამოსული არიან საკარავოთ ქართული სამხედრო ნაწილებიც. მათ, როგორც ჩვეულნი ვართ, ყველგან თან დასდევთ სიმხიარულე, ყოველი საქმის სიმღერით შესრულება.

ჩამოსვლისთანავე გაისმა სურამის არე-მარეში მისთვის გასაგები და სასიამოვნო ქართული ყოველ კუთხის სიმღერები, გაიმართა ცეკვა-თამაში, გაცნობ-მეგობრობა ადგილობრივ მუშა-გლეხობასთან, სიყვარული და პატივი ურთიერთ შორის.

ერთი სიტყვით, ჯარის ნაწილებსა და ადგილობრივ მშრომელ ხალხს შორის საუცხოვო, მეგობრული ურთიერთობაა დამყარებული.

კოტე ქურდევანიძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ცირკულიარულად.

ყველა აღმასრულებელ კომიტეტს, ასლი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს.

იუსტიციის სახალხო კომისარის მოხსენებიდან სჩანს, რომ ზოგიერთი ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი და მილიციის ორგანო ერევა სახალხო მოსამართლეთა და გამომძიებელთა საქმეში და არღვევს მის სწორე და მიზანშეწონილ მსვლელობას, რით სცემს სასამართლოს პრესტიჟს მოქალაქეთა თვალში.

ამგვარი მოვლენა ნორმალური არ არის და ეწინააღმდეგება საბჭოთა კანონმდებლობას რევოლიუციონური კანონიერების დამყარებისა, მატერიალური და პროცესუალური კოდექსების შემოღებისა, და სახელმწიფო პროკურატურის დაწესებისთანავე სასამართლო ორგანოების მოქმედება ჩაყენებულია კანონიერების კალაპოტში და მათ მიერ კანონის ყოველი გადახვევა იდევნება და დაისჯება კანონით დადგენილი წესისამებრ. მაგრამ იმისთვის, უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო ორგანოს და მისი განაჩენის და გადაწყვეტილების ავტორიტეტი, არ შეიძლება ვინმე პირი და დაწესებულება, რომელსაც სამისოდ კანონით რწმუნება არა აქვს, ჩაერიოს ამ ორგანოების მოქმედებაში.

ზემოხსენებულის გამო სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა აღმასრულებელ კომიტეტს დაუყოვნებლივ მიიღოს ღონისძიება ასეთი არა სასურველი მოვლენის თავიდან ასაცილებლად და გარეშე პირის და დაწესებულების სასამართლო საქმეებში ჩარევის მოსასპობლად. ხოლო, უკეთუ რომელიმე აღმასრულებელი კომიტეტი შეამჩნევს სასამართლო ორგანოს კანონის საწინააღმდეგო მოქმედებას, მას შეუძლიან ეს მოქმედება განასაჩივროს პროკურატურის მეშვეობით, რომელიც არის ყველა პირისა და დაწესებულების მოქმედების კანონიერების ზედამხედველი ორგანო.—

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—მიხა ცხაკაია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი საბაშვილი.

ბრძანება № 10.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოში.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ამა 1923 წლ. ივნისის 13-ს დადგენილებით საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველად დანიშნულია ამხ. ალექსანდრე სალარიძე, მისივე სახ. კომისართა საბჭოს პასუხისმგებელ მდივნის თანამდებობაზე დატოვებით, 1923 წლ. ივნისის 1-დან.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ელიავა.

სახ. კომისართა საბჭოს მდივნის მაგიერ გრ. პარკაძე.

1923 წ. ივნისის 22:
თბილისი-სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

ამხანაგების გამოწვევა.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის აღმრიცხავ-სტატისტიკურ ქვე-განყოფილებაში:

პირველ რაიონში: 1) ბამენკო აქვენტი, 2) ბაჟანაევი ალექსანდრე, 3) ივანენკო პეტრე, 4) ენუქიძე, 5) რაბოტა ივანე, 6) ნამურაძე ზურაბი, 7) ფირცხალაიშვილი ნოე, 8) დიმიტრაიშვილი გიორგი.

მეორე რაიონში: 1) ლიაზოვი გიორგი, 2) არსენტიევი, 3) ბარონოვი დიმიტრი, 4) თუმანოვი ნიკოლოზ, 5) ივანოვ-კავკასკი, 6) ვარდანიანი ფლორა, 7) მენაბდე აკაკი, 8) მანუკიანი სარკისი, 9) ყიფიანი აპოლონი, 10) ესაიაშვილი ილია, 11) ყურულაშვილი გიორგი, 12) კაზუმოვი ალექსანდრე, 13) მარგიშვილი გიორგი, 14) გინზბურგი აბრამი, 15) ჩაპლინი ნიკოლოზი.

მე-3-ე რაიონში: 1) კურკჩიევი ლეონტი, 2) ტერტერაშვილი არშაკი, 3) გარიბოვი შმაკონი, 4) ტალიბლი ბოიუკ-აღა.

მე-4-ე რაიონში: 1) ალექსანდრია ვიქტორი, 2) ატოევი ნიკოლოზ, 3) ადამიძე თამარა, 4) ასლიბეკოვი მიხეილი, 5) ბატულაევი ილია, 6) ბუშინაშვილი პარმენი, 7) ვარტანიანი ამო, 8) გეგეჭკორი ნადეჟდა, 9) გეგეშიძე ვალიკო, 10) გაევსკი-რობიტოვი გიორგი, 11) გოცირიძე სერგო, 12) ჯუგრაჯიძე გიორგი, 13) ძიძიგური ილარიონი, 14) დოლიძე ნიკოლოზი, 15) ჯაფარიძე სერგო, 16) ერზიკიანი რუბენი, 17) იპოლიტოვი ალექსანდრე, 18) კოკინეევი ნიკოლოზი, 19) კარპი მათე, 20) კაცი მაქსიმელ, 21) კვერნაძე არჩილი, 22) კოგანოვსკი დავითი, 23 კაფაფავა ევგენია, 24) კალანდაძე ელიზბარ, 25) კანდელაკი ვასილ, 26) კოლესნიკოვი გრიგოლ, 27) კვრივიშვილი ლევი, 28) ლინდელი ვასილ, 29) ლიპატოვი ვლადიმირი, 30) გერელიშვილი სერგო, 31) მგელაძე ნინა, 32) მახარაძე დავითი, 33) მშობელი მარკოზი, 34) პეციუხა ანდრო, 35) პუტრაინი კარლი, 36) რადზევიჩი ივანე, 37) სემუშკინი თედორე, 38) სტურუა ივანე, 39) სანაია რაჟდენი, 40) ხარაბაძე გალაქტიონი.

ტფილისის კომიტეტის მდივანი: რუბენი.

აღმრიცხავ-სტატისტიკური განყოფილების გამგე: ვულფოვიჩი.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 საუბნო კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოაღნიშნულ ამხანაგებს ა. წ. 27 ივნისამდე გამოცხადდენ საუბნო კომიტეტში ერთიანი პარტიული ბილეთების მისაღებად: 1) ზაიცევი ნიკოლოზი, 2) რიაბოვსკი რაფაელი, 3) სმოროდსკი მიხეილი, 4) ნეზლინი ლეონიდი, 5) როსსიკო იგნატი, 6) ნიკოლაევი ეფიმი, 7) მურუსიძე ვასილი, 8) გეგეჭკორი ალექსი ალექსანდრეს ძე.

ზემოაღნიშნულ ვადამდე გამოუცხადებელ ამხანაგების პარტიული ბილეთები გადაეცემა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ ხაცკევიჩი.

საარიცხვო-სასტატისტიკო ნაწილის გამგის მაგიერ ისაკოვი.

განცხადებები

24 ივნისს დილის 3 საათზე გარდაიცვალა

იაკობ სოლომონის ძე ღულაძე

რასაც გულის ტკივილით და დიდის მწუხარებით ატყობინებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ ივანე სოლომონის ძე და მარიამ ფრანცის ასული ღულაძენი. პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში სამშაბათს საღამოს 7 საათზე, ლიტურღია ოთხშაბათს დილით 9 საათზე; გამოსვენება ეკლესიიდან ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე იმავე დღის საღამოს 5 საათზე. 878 2—2

1 საცდელ-საჩვენებელი შრომის სკოლის და 1 ტეხნიკუმის (ყოფილი 1 გიმნაზიის) პედაგოგიური პერსონალი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ყოფილი დირექტორის

იაკობ სოლომონის ძის ღულაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება დღეს, 27 ივნისს. ცხედრის გამოსვენება ქვაშვეთის ეკლესიიდან ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში საღამოს 5 საათზე. 883 1—1

მე-9 ტეხნიკუმის და მე-4 მთლიანი შრომის სკოლის (ყოფ. ვაჟთა მე-5 და ქალთა მე-6 გიმნაზიების) თანამშრომელნი გულითადი მწუხარებით აცხადებენ ამ დაწესებულებათა დამაარსებელის

იაკობ სოლომონის ძე ღულაძის

უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება ქვაშვეთის ეკლესიიდან და დაკრძალვა ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე მოხდება ოთხშაბათს 27 ივნისს ნაშუადღევის 5 საათზე.
(886—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი ეკატერინე ალექსის ასული და ივანე მიხეილის ძე კახიანები შვილებითურთ, ნინა ივანეს ასული და შალვა ივანეს ძე თაქთაქიშვილები აუწყებენ ნათესავთ მეგობართ და ნაცნობთ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ—პირველთა შვილის, მეორეთ ძმის და ცოლის ძმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის სტუდენტის

ჯაბა (გიორგი) ივანეს ძე კახიანის

გარდაცვალებას. რაიც მოხდა 25 ამ თვეს. დაკრძალვა ქ. ბათომში ხუთშაბათს. გამოსვენება 28 ამ თვეს. საკუთარი ბინიდან. 884

საქართ. პარტიულ-საბჭოთა პრესის

ცენტრალურ კანტორისაგან

(ყოფ. გაზტრესტი), რუსთაველის პროსპ. № 26. ტელეფ. № 5—43, ივლისის თვეში გაზეთ „კომუნისტ“-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები 6 მიტანით:

საერთო ხელის მოწერა	1.800.000
კოლექტიური ხელის მოწერა მხოლოდ მუშებისათვის	1.300.000
ერთი ეგზემპლიარი	75.000

ცენტრალური კანტორა სთხოვს ყველა ხელის მომწერლებს 1 ივლისამდის შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი ნისიათ არავის არ გაეგზავნება. 6 2

თანახმად განათლების მუშაკთა კავშირის ც. გ. პლენუმის დადგენილებისა, ამა წლის 1-ლ ივნისიდან

დანიშნულია კავშირის ერთეულ წევრთა გაწმენდა

ამ მიზნისათვის ც. გ.-თან შექმნილია კომისია, რომელიც შეუდგება მუშაობას ამა წლის 1 ივლისიდან.

ყველა ერთეულ წევრები, როგორც კერძო გაკვეთილების მქონე, აგრეთვე წერა-კითხვის ლიკვიდატორები ვალდებულნი არიან ამა წლის 2 ივლისს, საღამოს 6 საათზე გამოცხადდენ განათლების მუშაკთა კავშირში (მუშათა სასახლე, ოთახი № 35) საწევრო წიგნაკებით და აგრეთვე მისცენ ყოველგვარი საჭირო ცნობები რაიადგილკომების წარმომადგენელთ.

ვინც არა საპატიო მიზეზების გამო არ გამოცხადდება დანიშნულ დროს, გამორიცხულ იქნება კავშირიდან.

(3—2) კომისიის თავმჯდომარე მეძმარიაშვილი.

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა

სამმართველო აცნობებს

ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს, კოოპერატიულ ორგანიზაციებს, კერძო პირებს და ცალ-ცალკე ბაღების მეპატრონეთ, რომელნიც დაინტერესებული არიან ხილისა და ბოსტნეულის გახმობაში, რომ მიმდინარე სეზონში ამიერ-კავკასიის ფარგლებში განზრახულია მოეწყოს

ხილისა და ბოსტნეულის გამხმობი

მატარებლის, ექსპლოტაცია რომელსაც ყოველგვარი საქარხნო მოწყობილება ექნება ნედლი მასალის მექანიკურად გადამუშავებისათვის (ალუბალი, ჭერამი, უნაბი, ატამი, ვაშლი, კარტოფილი, სტაფილო და სხვა ხილი და ბოსტნეული) გამხმარ პროდუქტებში.

1) ნედლი მასალა შეიძლება ჩაბარებულ იქნეს გადამუშავების ღირებულების გადახდით, მაგრამ არა უმეტეს ერთი მანეთისა თვითეულ ფუთ გამხმარ პროდუქტზე; იმ ხილისა და ბოსტნეულისათვის, რომელთა გასავალის პროცენტი დიდია, გადამუშავების ფასი შეიძლება თანაბრად შემცირებულ იქნეს.

2) გადამუშავების ფასი შეიძლება გადახდილ იქნეს თანაბარი ღირებულების ნედლი მასალით ან ნაწილობრივ ფულით და ნედლი მასალით.

3) შემკვეთელებს მთელი რიგი შეღავათებისა ეძლევათ ტრანსპორტიროვკისა, შენახვისა, რეალიზაციისა და ფრახტის გადახდაში, აგრეთვე ეძლევათ სესხი გადამუშავებულ პროდუქტის გირაოს ქვეშ.

4) ტარის შეძენის სიაფესათვის, რომელიც დამზადებულ პროდუქტის ჩასაწყობად არის საჭირო, ხილისა და ბოსტნეულის გამხმობი მატარებელი ყუთების დასამზადებლად ღებულობს შეკვეთებს კლიენტებისათვის ხელსაყრელ პირობებში. მატარებელი იღებს შეკვეთებს აგრეთვე მორისა და ფიცრების დასახერხავად, ხმელ ხელსაწყოების რემონტისათვის და ხორბლეულ პროდუქტების დასაფქველად; ყველა ეს სამუშაოები შესრულებული იქნება მატარებელის დამხმარე მოწყობილობის საშუალებით; ყველა იმათ, ვისაც სურს მატარებლით სარგებლობა, წინადადება ეძლევათ თავის დროზე შეიტანონ განცხადება, რადგან შეკვეთების შესრულება ხდება რიგის წესით და იმ რაიონების შეთანხმებით, სადაც მატარებელმა უნდა იმუშაოს.

ცნობებისათვის უნდა მიმართონ ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს ეკონომიურ სამსახურს (სადგურის ქ. № 1, მე-2 სართული, ოთახი № 57). (კრ. 473—5—1)

აბაშის უბნის სახალხო სასამართლო

იწვევს აკაკი მეთოსძე ხოშტარიას და კონდრატე ლუარსაბის ძე გუციაძეს გამოცხადდენ მასთან დ. აბაშაში მის კამერაში 6 ივლისს 1923 წ. ს დილის 9 საათზე, როგორც მოპასუხენი საქმისა გამო ონიფანტე კონსტანტინეს ძე ორიგავას მათთან 6.000.000.000 მან. თაობაზე, უკეთუ მოპასუხენი არ გამოცხადდებიან დანიშნულ დღეს, დადგენილ იქნება დაუსწრებელი განჩინება.

881 1—1 სასამართლოს თავმჯდომარე: პ. კაპარავა.

დაიკარგა ვინაობის წიგნაკი აბას ჰუსეინ-ოღლის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (885—1—1)

დაიკარგა შრომის ბირჟის წიგნაკი თამარა ქოქიკაშვილის ხელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 882 1—1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ. „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, კრუზენშტერნის ქუჩა № 4.